პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 211 (5012) | ოთხშაბათი, 15 სექტემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

ხვნა-თესვაში ჩამორჩენა შეუწყნარებელია (მოწინავე).
ბედნიერი ახალგაზრდობის დემონსტრაცია (1 გვ.).
სსრ კავშირი შეურთდა ნიონის შეთანხმებას („პრავდის" მოწინავე. მე-2 გვ.).
საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება
გარდავქმნათ პარტკაბინეტების მუშაობა (სარედაქციო სტატია. მე-2 გვ.).
პ. ცინცაძე — რუსთაველის დროის ფილოსოფიური აზროვნება და „ვეფხის ტყაოსანი" (მე-3 გვ.).
ერთა ლიგის პლენუმი (მე-4 გვ.).
ჩინეთის ნოტა ერთა ლიგას (მე-4 გვ.).
ჩინეთის არმიის ბრძოლის უნარიანობა (მე-4 გვ.).
იაპონიის საკონსულოების დახურვა ოდესასა და ნოვოსიბირსკში (1 გვ.).
თვითმფრინავ „ნ-209" საძებნელად (მე-4 გვ.).
სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟი (მე-4 გვ.).

ხვნა-თესვაში ჩამორჩენა შეუწყნარებელია

დადგა გამალებული საშემოდგომო ხვნა-თესვის დღეები. თესვაში დღითიდღე ახალ-ახალი რაიონები ებმებიან. საშემოდგომო მარცვლეული კულტურები უნდა დაითესოს 297 ათას ჰექტარზე. ამ სავსებით რეალური დავალების შესასრულებლად ადგილებზე ჯერ კიდევ სათანადოდ არ გაუშლიათ მუშაობა. თესვისათვის მზადებისა და თვით ხვნა-თესვის მიმდინარეობა აშკარად თვითდინებაზეა დანდობილი.

10 სექტემბრისათვის ჯიშიანი სათესლე მასალა სულ დამზადებული იყო 8.969 ტონა ანუ გეგმის 81,5 პროც. აქედან საქ. სახელმწიფო ჯიშთა ფონდის ხაზით დამზადებულია და რაიონებში შეტანილია 2.000 ტონა თესლი. ასეთი მდგომარეობა აშკარად შეუწყნარებელია.

ძალიან ცუდი მდგომარეობაა ჯიშიანი თესლის გატანის მხრივ. ხანგრძლივად აწყვია „ზაგოტზერნოს" პუნქტებში ჯიშიანი თესლი, ხოლო მისი დროულად გატანისათვის თავს არავინ იწუხებს. განა დაუშვებელი უდარდელობისა და უზრუნველობის შედეგი არ არის, რომ ბორჩალოს, თბილისის, ახალქალაქის, ასპინძის, თიანეთისა და ალბულაღის რაიონები აჭიანურებენ „ზაგოტზერნოს" პუნქტებიდან თესლის გატანას?

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით ახალქალაქის რაიონს თესვა 10 სექტემბრისათვის უნდა დაემთავრებინა. ეს ვადა ჩაშალეს და ახლა თესლის დაჩქარებით გასატანადაც არ იღებენ ზომებს. რას იტყვის ამაზე საქ. კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის მდივანი ამხ. სარქისოვი? თიანეთის რაიონს თესვა დღეისათვის უნდა დაემთავრებინა, მაგრამ იქ თესლის საკითხიც არ მოუგვარებიათ. ხომ არ ფიქრობენ თიანეთის პარტრაიკომის მდივანი ამხ. ფირცხალავა და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სისაური, რომ მათ პასუხი არ მოეთხოვებათ თესვის ჩაშლისათვის?

აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სათესლე ფონდების გამოყოფა და გაწმენდა. 10 სექტემბრისათვის საშემოდგომო თესლეულის გამოყოფის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 43,4 პროცენტით, ხოლო გაწმენდისა — 18,3-ით. სათესლე ფონდების გამოყოფა დაწყებული არ ჰქონდათ ბოგდანოვკის, ადიგენის, თელავის, წალკის, ალბულაღის, ბაშკიჩეთის, თიანეთის რაიონებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

ბოგდანოვკისა და წალკის რაიონებში თესვის დაწესებული ვადები ამოიწურა ხოლო თესლზე აქ არ ზრუნავენ. ეს მოწმობს, რომ საქ. კ. პ. (ბ) ბოგდანოვკის რაიკომის მდივანი ამხ. კარნიცკი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ოდიაშიანი და წალკის რაიკომის მდივანი ამხ. ხრისტიანოვი ცუდად ხელმძღვანელობენ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს.

სათესლე ფონდების გამოყოფაში დიდად ჩამორჩნენ აგრეთვე ახალქალაქის, ასპინძის, ლაგოდეხის, თბილისის, ლუქსემბურგისა და დუშეთის რაიონები.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სათესლე მასალის გაწმენდას გორის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში. ამით არის გამოწვეული, რომ ეს სამუშაოები აქ კუს ტემპებით მიდის. ყვარლისა და ბორჩალოს რაიონებს სათესლე მასალის გაწმენდა არ დაუწყიათ.

სუსტად მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაო, როგორიცაა ჯიშიანი თესლის გადაცვლა კოლმეურნეობებს შორის. 10 სექტემბრისათვის გადაცვლილი იყო მხოლოდ 24.665 ცენტნერი. ეს სამუშაო არ იყო დაწყებული ახალციხის, ადიგენის, თიანეთის, თელავის, თბილისის, დუშეთის, ალბულაღის, ბორჩალოს, ბაშკიჩეთის რაიონებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

შიშს იწვევს საშემოდგომო ხვნის მეტად ნელი ტემპები. 10 სექტემბრისათვის ხვნის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 33,5 პროცენტით. განსაკუთრებით ცუდადაა საქმე ბოგდანოვკისა და წალკის რაიონებში. მათ თესვა 10 სექტემბრისათვის უნდა დაემთავრებინათ, ფაქტიურად კი ხვნა დაწყებულიც არ ჰქონდათ. ამ საქმეში სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს წალკის მტს-ის დირექტორმა ამხ. აგაიანმა და ბოგდანოვკის რაიმიწგანის გამგემ ამხ. ოსეპიანმა. ახალქალაქის რაიონს, რომელსაც თესვა 10 სექტემბრისათვის უნდა დაემთავრებინა, ხვნა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 18,7 პროცენტით.

მიწსახკომის 10 სექტემბრის ცნობებით საქართველოში დათესილია 2.160 ჰექტარი ანუ 2,7 პროც. თესვის ვადები ჩაშალეს ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და წალკის რაიონებმა. თესვა დაწყებული არ ჰქონდა აგრეთვე თიანეთის რაიონს, ხოლო თესვის ვადა აქ უკვე თავდება.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ზოგან უგულვებელყოფილია თესვის ხარისხიანად შესრულების საკითხი. ცაგერის რაიონის ქვემოლაჰანის კოლმეურნეობაში სთესენ დანაგვიანებულ თესლს. უსახელოს სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა დათესეს შეუწამლავი თესლი და ამით მთავრობის დადგენილება დაარღვიეს. ეს ფაქტები ცაგერის რაიონში გამონაკლისს როდი წარმოადგენს. აქედან ცხადია, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მდივანი ამხ. ს. ჭელიძე თესვას არ ხელმძღვანელობს.

ზოგან არ იცავენ ხვნის სიღრმეს და ამით ხელს უწყობენ მოსავლიანობის შემცირებას. წნორის მტს-ის ტრაქტორისტებმა ალ. ჩალახაშვილმა და ს. ქურხულმა ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 8 ჰექტარი მიწა 10-12 სანტიმეტრ სიღრმეზე მოუხნეს. ზერელედ ხვნა აშკარა მავნებლობაა, რადგან მოსავალს ამცირებს. მაგრამ რატომღაც ამ გარემოებას ივიწყებს წნორის მტს-ის დირექტორი ამხ. ფეიქრიშვილი.

კარგი ამინდები ყოველმხრივ ხელს უწყობს ხვნა-თესვის დამკვრელურად გაჩაღებას. მაგრამ ადგილებზე მოუქნელობას იჩენენ, ამ სამუშაოებს აგვიანებენ, იმის მომიზეზებით, რომ მიწა გამოშრაო. ასეთი „მსჯელობა" შეუძლიათ მხოლოდ მოლაყბეებს, რომელთაც არა აქვთ უნარი საქმეს თავი გაართვან. ჩამორჩენის მიზეზია მხოლოდ ის, რომ მთელმა რიგმა რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა ვერ იბრუნეს პირი თესვის საკითხებისაკენ. უნდა გავაფრთხილოთ ჩამორჩენილი რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები, რომ მათ სამარცხვინო ჩამორჩენა ხვნა-თესვაში უახლოეს დღეებში გამოასწორონ.

დასკვნა ერთია: გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ სათესლე მასალის დროულად მოსამარაგებლად, ხვნა-თესვის ტემპების დასაჩქარებლად, რათა ხელიდან არ გავუშვათ ოქროს დღეები.

საშემოდგომო ხვნა-თესვის სახელმწიფო გეგმები უნდა შევასრულოთ ვადაზე და მაღალხარისხოვნად და ამით მტკიცე საძირკველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქ. ჩაის" 10 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	დამზადებულია სეზონის დაწყებიდან ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	სექტემბრის გეგმის შესრულება პროც.
ბათუმი	977,7	94,5	58,9
ქობულეთი	4.646,9	88,1	39,3
სულ აჭარის ასსრ	5.624,6	76,5	40,9
გალი	1.355,2	84,8	45,2
ოჩამჩირე	672,8	89	35,4
სულ აფხაზეთის ასსრ	2.028	90,7	41,6
მახარაძე	5.658,6	91,2	50,8
ჩოხატაური	666,3	92,1	45,8
ლანჩხუთი	2.289,5	93,1	47,7
სამტრედია	115,7	96,4	71,2
წულუკიძე	345,8	102	78,4
ქუთაისი	49,2	123	100
ტყიბული	208	112,8	55,3
ცხაკაია	567,7	96,2	50,1
გეგეჭკორი	1.085,6	92,2	47,6
ზუგდიდი	2.328	92,8	58,9
წალენჯიხა	713,2	81	25,4
ჩხოროწყუ	552	97,7	39
ხობი	166,7	98,1	76,8
სულ	22.393,9	91,4	46,5

სექტემბრის პირველ ხუთდღიურში დამზადდა სულ 642,6 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორე ხუთდღიურში კი—1.023,2 ტონა. შარშან 10 სექტემბრისათვის შესრულებული იყო ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმის 82,8 პროცენტი, ხოლო თვიური გეგმის—21,1 პროცენტი.

ბედნიერი ახალგაზრდობის დემონსტრაცია

საუცხოო მზიანი ამინდი დაიჭირა 12 სექტემბერს, როცა დედაქალაქის ახალგაზრდობა გამოვიდა ახალგაზრდობის ოცდამესამე საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ დემონსტრაციაზე. მოსკოვის მოედნები, ქუჩები და შესახვევები სადღესასწაულოდ მორთულან.

დილიდანვე სადღესასწაულო ჟრიამულია. მორთული მხიარული ახალგაზრდობა სიმღერითა და ცეკვით გროვდება საწარმოებსა და დაწესებულებებში, რათა კოლონებად დაიძრას დედაქალაქის გულისაკენ—წითელი მოედნისაკენ.

მაღლა სსრ კავშირის ცაკის შენობის თავზე მოსჩანს დიდი ასოებით „ალკკ", ფრონტონის ცენტრში მავზოლეის პირდაპირ — ოქროს ვარაყიანი ალისფერი ნიშანი „აკი", ლენინისა და სტალინის ფერადოვანი პორტრეტები.

შუადღისათვის ათასობით სტუმრებმა გაავსეს გრანიტის ტრიბუნები კრემლის კედლების გასწვრივ. აქედან მოსჩანს უზარმაზარ ტილოზე სიყვარულით გამოხატული სიტყვები მისალმებისა მშობლიური ბელადის, მამის, მასწავლებლის და მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრისადმი:

„მხურვალე სალამი დიდ სტალინს საბჭოთა ახალგაზრდობისაგან!"

რუსულ, ესპანურ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე მეორდება ლოზუნგი:

— გაუმარჯოს ახალგაზრდობის ოცდამესამე საერთაშორისო დღეს!

ნიშანი „აკი" და დროშები ამშვენებენ ისტორიული მუზეუმის ფასადს. იქ მთელი წითელი მოედანი ხედავს ლოზუნგს:

„სოციალისტური სამშობლოს თავდადებული დაცვა, მისი ძლიერების, კეთილდღეობისა და დიდების განმტკიცება — საკ. ალკკ წევრის ყველაზე წმინდა და სასიცოცხლო მოვალეობაა."

ლენინური კომკავშირის პროგრამის ეს პუნქტი მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის გრძნობებს გამოხატავს.

მოედნის გასწვრივ გამწკრივდნენ მოსკოვის ფიზკულტურელები, ახალგაზრდა პლანერისტები, პარაშუტისტები, მფრინავები, პიონერები, დედაქალაქის ახალგაზრდა მოქალაქეთა რაზმი, რომელნიც წელს მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში შედიან.

მავზოლეის მარცხენა ფრთაზე ადიან ამხანაგები **სტალინი, მოლოტოვი, ჩუბარი, მიქოიანი, დიმიტროვი, ხრუშჩოვი, ბულგანინი, შვერნიკი.**

მიტინგი მოედანზე იხსნება საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ვ. კოსარევის სიტყვით.

ამხ. კოსარევის დასკვნით სიტყვებს მოედანი მქუხარე ოვაციით ჰფარავს. გრგვინავს „ინტერნაციონალი". კიდით-კიდემდე გაისმის „ვაშას" ალტაცებული ძახილი. დიდხანს არ სცხრება მისალმების შეძახილები ხალხთა დიდი ბელადის, საყვარელი მასწავლებლის და საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობრის — ამხანაგი სტალინის პატივსაცემად.

მოსკოველ ახალწვეულთა სახელით, რომელნიც სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში შედიან, გამოდის ამხ. შჩერბაკოვი.

დედაქალაქის ახალგაზრდობის სახელით მხურვალე სიტყვას ამბობს მეტრომშენის ახალგაზრდა მუშა-ქალი ამხ. ფედოროვა.

მოედანზე კვლავ იფრქვევა „ინტერნაციონალის" ჰანგები. მრავალი წუთის განმავლობაში ისევ გრგვინავს „ვაშა", გაისმის მისალმების შეძახილები, ჰქუხს ოვაცია.

მიტინგი დამთავრებულია. იწყება საზეიმო მარში. ბედნიერი სტალინური თაობის პარადს ხსნის მედროშეთა წაკრები რაზმი. მას პიონერთა კოლონა მიჰყვება. ბავშვებს მხრებზე ჩანთები აქვთ გადაკიდებული, ხელში ყვავილები უპყრიათ. ყვავილებით არის გარშემოვლებული **ლენინისა და სტალინის** პორტრეტები, პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

რესპუბლიკური ესპანეთის მეომართა ლურჯი კოსტუმებით და წითელი ქუდებით მოდიან ესპანელი ბავშვები, რომელთაც საბჭოთა ქვეყანაში სტუმართმოყვარული კერა ჰპოვეს. მათ მიაქვთ ამხანაგების **სტალინის, ხოზე დიასის, დოლორეს იბარურის** დიდი პორტრეტები. წითელ დროშასთან ერთად ფრიალებს ესპანეთის რესპუბლიკის ნაციონალური ბაირაღი. ტრიბუნიდან დიდხანს უკრავენ ტაშს.

მოდის ხალისიანი და მხიარული საბჭოთა ბავშვობა. მოდიან ნორჩი ვოროშილოველი მსროლელები. ნორჩი წყალმავლები, ნორჩი ავიომოდელისტები. რადიომოყვარულთა რაზმის თავზე აღმართულია რადიოანძის მაკეტი.

მოედანი მქუხარე ტაშით ხვდება ახალწვეულთა კოლონას. ისინი, ძლიერნი და ჯანსაღნი, მიემართებიან შემჭიდროვებული რიგებით და ცხადჰყოფენ თავიანთ ერთგულებას სოციალისტური სამშობლოსადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისადმი და ხალხთა ბელადის — ამხანაგ სტალინისადმი.

„ჩვენ მშვიდობიანობის მომხრენი ვართ და მშვიდობიანობის საქმეს ვიცავთ, მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზად ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმაზე", „ჩვენ მზად ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ ჩვენი სოციალისტური სამშობლო", „ფაშისტი პირატები საზღაურს ვერ გაექცევიან!" — აი ლოზუნგები, რომლებითაც მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომავალი მეომრები მოვიდნენ წითელ მოედანზე.

მოდიან ნაცრისფერ კოსტუმებში გამოწყობილი ახალგაზრდა მფრინავ - პარაშუტისტები. თავდაცვაავიაქიმელი მფრინავები, ლურჯ კომბინეზონებში — პარაშუტისტები. მოედანი მხურვალედ უკრავს ტაშს ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტებს.

წვევამდელთა შემდეგ, საზღვაო ფორმით გამოწყობილნი, მავზოლეის ჩაუვლის მოსკოვის სასპორტო საზოგადოებათა მედროშეების რაზმი. თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის დროშები და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები — მაღლა აღმართულან საზოგადოება „ბურევესტნიკის" მოწინავე კოლონის თავზე. ალმებით, ბურთებით და საჰაერო ბურთულებით მოდიან მოკისკასე ბავშვები. ქალიშვილნი გვიჩვენებენ თავისუფალ მოძრაობას სალტეებითა და ალმებით, ცეკვას ლენტებით. ერთიმეორეზე მიდიან ფიზკულტურელთა რაზმები. წითელი მოედანი აფერადებულია სხვადასხვა ფერის მაისურებით. ფიზკულტურელთა კოლონას ამთავრებს საზოგადოება „სპარტაკი", ამ ცოტა ხნის წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოვებული.

რამდენიმე წუთი და მოედანი ცარიელია. და უეცრად ათეული ორკესტრები ავსებენ მას საზეიმო მარშების ჰანგებით. წკრიალებს მხნეობითა და სიხარულით აღსავსე სიმღერები. ეს მოედანზე დედაქალაქის რაიონთა დემონსტრანტების კოლონები მოზღვავდნენ. ახალგაზრდობასთან ერთად მოდიან სხვადასხვა თაობის ადამიანები. აქ არიან სამოქალაქო ომის მონაწილენიც, ძველი მუშებიც, რომელთაც ახსოვთ გმირული ბრძოლები წითელი პრესნის ბარიკადებზე. მთელი მოსკოვი გამოსულა დღეს ბედნიერი სტალინური მოდგმის დღესასწაულზე, სიჭაბუკის, სიმხნევის, ჯანღონისა და სიხარულის საბრძოლო დემონსტრაციაზე.

ათასობით პორტრეტები, დროშები და პლაკატები აღმართულა რიგების თავზე. ტრანსპორანტებზე გამოხატული სიტყვები ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წმინდათა-წმინდა უფლებებზე — შრომის, დასვენების, განათლების უფლებებზე, სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდა მოვალეობაზე — დაიცვას თავისი სამშობლო.

ბობოქარ ცოცხალ მდინარეს წითელ მოედანზე ადამიანთა ახალ-ახალი ნაკადები ემატებიან ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, ინსტიტუტებიდან და სკოლებიდან. ისინი მოედანს ავსებენ მჩქეფარე სიჭაბუკით, მხიარულებით, ბედნიერებით, თვითეულ კოლონის თავზე მოსჩანს ხასხასა ალისფერი დროშები, პლაკატები, ბელადთა პორტრეტები, ზღვა ყვავილები.

დიადი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერი შვილნი და ქალიშვილნი, სტალინური სიყვარულითა და ზრუნვით გამთბარნი, ცხადჰყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი და ხალხთა დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინისადმი.

— სალამი ამხანაგ სტალინს საბჭოთა ახალგაზრდობისაგან!

— ჰქუხს მოედანზე აღტაცებული მისალმებანი. სტალინ!

იქით, მავზოლეის ტრიბუნისაკენ მიპყრობილია ყველა დემონსტრანტის თვალი და მიმართულია მისალმება. სტალინის სახელს, როგორც ბრძოლისა და გამარჯვებათა სიმბოლოს და საბრძოლო დროშას, ათასჯერ იმეორებენ დღეს ახალგაზრდა დემონსტრანტები მთელ ჩვენ დიდ ქვეყანასთან ერთად.

დედებსა და მამებს ხელით მოჰყავთ პატარა ბავშვები, რომელნიც სიხარულით მიესალმებიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთ ტრიბუნაზე.

მადლობის მხურვალე სიტყვები გამოხატულია მრავალათეულ ტილოზე.

„მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი ახალგაზრდობისათვის!"

თვითეულ კოლონაში გაისმის სიმღერა, მუსიკა. კიროვის რაიონის ახალგაზრდა ფეიქარნი „რუსულის" მოხდენილი ცეკვით ჩაუვლიან ტრიბუნას.

ჩვენი ახალგაზრდობა დარწმუნებულია თავის ხვალინდელ დღეში, — და აი რატომ არის იგი ასე ხალისიანი. და ეს სიჭაბუკე ხალხის მტრებს — ტროცკისტ - ბუხარინელ ჯაშუშებს, დივერსანტებს უნდოდათ ჩვენი ახალგაზრდობისათვის წაერთმიათ. მათ, ამ საზიზღარ ქვეწარმავლებს, უნდოდათ ჩვენი ახალგაზრდობისათვის კაპიტალისტური მონობის ბორკილები გაეყარათ. საბჭოთა ახალგაზრდობა ამას არასოდეს დაუშვებს! ამას არასოდეს დაუშვებენ დიადი სსრ კავშირის ხალხები!

დემონსტრანტები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა დაზვერვას და მის მებრძოლ ხელმძღვანელს.

— მხურვალე სალამი შინაგან საქმეთა სტალინურ სახალხო კომისარს — ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვს!

გაცოფებულ ფაშისტ ქოფაკებისადმი მშრომელთა რისხვისა და სიძულვილის წმინდა გრძნობები მკვეთრადაა გამოხატული მრავალრიცხოვან პლაკატებზე, ლოზუნგებში, გონებამახვილურ ნახატებში.

— პირწმინდად გავანადგუროთ ტროცკისტ-ბუხარინელი მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები, მკვლელები! — მოგვიწოდებენ პლაკატები.

აი მესაზღვრე. შაშხანა მომარჯვებული, იგი გულმშვიდად ხვდება ფაშიზმის ქოფაკებს, უძლური ბოროტებით გაქელენთილნი საბჭოთა საზღვრებთან რომ ყეფენ. პროლეტარის გიგანტური მუშტი ამსხვრევს ხმელთაშუა ზღვაში მოთარეშე ფაშისტ პირატთა წყალქვეშა ნავს.

ხალხის სამგზის საზიზღარი მტერი ჩაბღუჯულია მაგარ ხელში.

პლაკატები და ლოზუნგები მოგვიწოდებენ სიფხიზლისაკენ, გამოხატავენ საბჭოთა ახალგაზრდობის, მთელი ჩვენი ხალხის ზიზღსა და სიძულვილს პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტებისადმი — ტროცკისტ-ბუხარინელი მკვლელების, ჯაშუშებისა და დივერსანტების ბანდისადმი. „საჭიროა, რათა ინტერნაციონალიზმის სული მუდამ თავს დასტრიალებდეს კომკავშირს", — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — ეს სული თავს დასტრიალებდა წითელი დედაქალაქის მხიარულ ჭაბუკთა და ქალიშვილთა კოლონებს.

პლაკატები, ლოზუნგები, ტრანსპორანტები ლაპარაკობენ საბჭოთა ახალგაზრდობის სოლიდარობაზე ესპანეთისა და ჩინეთის გმირ ხალხებთან, რომელნიც თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ისინი მოუწოდებენ მთელი მსოფლიოს მშრომელ ახალგაზრდობას შექმნან ფაშიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი ერთიანი ფრონტი.

მავზოლეის მარჯვენა მხარეზე გოგონებისა და ბიჭუნების ჯგუფი ჩამწკრივებულა — ესენი რესპუბლიკური ესპანეთის ბავშვები არიან, რომელთა მამები, ძმები და დები იბრძვიან ფრონტებზე ფაშისტი გერმანელ-იტალიელი ინტერვენტებისა და მეამბოხეების წინააღმდეგ.

მიმავალი კოლონები გულთბილად და სიყვარულით მიესალმებიან მათ, თავიანთ ძმურ სოლიდარობას უცხადებენ გმირ ესპანელ ხალხს.

სამ საათზე მეტხანს გრძელდებოდა მსოფლიოში უბედნიერესი საბჭოთა ახალგაზრდობის შესანიშნავი მსვლელობა. ამ ახალგაზრდობამ ისევ და ისევ ცხადჰყო თავისი ერთგულება და სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი, თავისი მწველი სიძულვილი ფაშისტთა ქოფაკებისადმი — ტროცკისტ - ბუხარინელი და სხვა ჯაშუშებისა და დივერსანტებისადმი, თავისი სოლიდარობა მთელი მსოფლიოს მშრომელ ახალგაზრდობასთან, რომელიც ეწევა ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის, თავისი საბრძოლო მზადყოფნა თავგამოდებით იბრძოლოს ლენინ-სტალინის საქმის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

12 სექტემბრის დემონსტრაციაში, რომელიც ახალგაზრდობის მე-23 საერთაშორისო დღისადმი იყო მიძღვნილი, დაახლოვებით 1 მილიონმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.



გემ „ბლაგოევის" უფროსი მესაჭე, ორდენოსანი ამხ. პეტრე შტეპენკო; დაიღუპა ფაშისტ - პირატების მიერ ეგეოსის ზღვაში გემ „ბლაგოევის" ჩაძირვისას

ფოტო—„სოიუზფოტოსი".

დაღუპული ძმის შესაცვლელად

ოდესა, 13 სექტემბერი (საქდესი). გემ „ბლაგოევის" გმირულად დაღუპულ მესაჭის ამხ. შტეპენკოს ძმამ შეიტანა განცხადება და თხოულობს მესაჭედ ჩარიცხონ შავი ზღვის ფლოტის ერთ-ერთ გემზე. ამ განცხადების შემდეგ შავი ზღვის სანაოსნო სამმართველომ მთელი რიგი ანალოგიური განცხადებანი მიიღო ოდესისა და კავშირის სხვა ქალაქების მშრომელთაგან.

თითქოს ამხ. შტეპენკოს სიკვდილის წინ წარმოთქმულ სიტყვების საპასუხოდ 5 ახალი „ბლაგოევის" გემების შესახებ, სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში მრავალრიცხოვანი ანარიცხი შედის ახალ თბომავალთა ასაგებ ფონდში.

„იზვესტია".

საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება

13 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება. კრება გახსნა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. გუდავაძემ. აქტივის კრებას დაესწრნენ საქ. ალკკ ყველა საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტის მდივნები. სულ კრებას დაესწრო 1.000 კაცზე მეტი. აქტივის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. გოგეშვილმა, საქ. ალკკ ც. კ-ის მდივნის მოვალეობის ამსრულებელმა ამხ. ა. მირცხულავამ, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. გიორგობიანმა, ლენინის რაიკომის მდივნის მოვალეობის ამსრულებელმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

აქტივის კრებაზე საქ. ალკკ ც. კ-ის მე-4 პლენუმის შედეგების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. აკ. მგელაძე.

ამხ. მგელაძემ აქტივს გააცნო კომკავშირის შიგნით ხალხის მტრების ლუკიანოვის, სალტანოვის, ფაინბერგის, ბუბეკინის, ანდრეევის და სხვათა მავნებლური მოქმედება. აღნიშნა აგრეთვე გაზ. „კომსომოლსკაია პრავდას" რედაქციაში მოკალათებული მტრების ძირგამომთხრელი მუშაობა. მკაცრად გააკრიტიკა გაზეთების „მოლოდოი სტალინეცის" და „ახალგაზრდა კომუნისტის" მუშაობა.

ამხ. მგელაძის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ხოკრიშვილმა (საქ. ალკკ ლენინის რაიკომის მდივანი), მარტიროსიანმა (საქ. ალკკ ალბულაღის რაიკომის მდივანი), ხალილოვმა (საქ. ალკკ ასპინძის რაიკომის მდივანი), ვორობიოვმა, კაჭკაჭოვმა (დუშეთი), დგებუაძე (ჩხოროწყუ), ჭანტურია (ა.-კ. რკინიგზა), ცხადაძე (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი), აფხაზავა (სამედიცინო ინსტიტუტი), კიკნაველიძე (ტრამვაი).

14 სექტემბერს გრძელდებოდა კამათი. აქტივის მეორე სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღო 20 კაცმა.

ამხ. მგელაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ აქტივმა მიიღო რეზოლუცია.

აქტივის კრება 14 სექტემბერს დამთავრდა.

იაპონიის საკონსულოების დახურვა ოდესასა და ნოვოსიბირსკში

მოსკოვი, 13 სექტემბერი (საქდესი). ამა წლის 11 მაისს საბჭოთა მთავრობამ იაპონიის მთავრობას მიმართა ნოტით, რომელშიც იგი აღნიშნავდა იაპონიის რვა საკონსულოს არსებობას სსრ კავშირის ტერიტორიაზე, მაშინ როცა სსრ კავშირის მთავრობას იაპონიაში აქვს მხოლოდ ექვსი საკონსულო, და სთხოვდა იაპონიის მთავრობას, საკონსულოების თანაბარი რაოდენობის იმ პრინციპის შესაბამისად, რომელიც განმტკიცებულია 1926 წ. გაცვლილ ნოტებში, დაეხურა ორი იაპონური საკონსულო. ამასთან საბჭოთა მთავრობამ მიუთითა, რომ იაპონიის საკონსულოები ნოვოსიბირსკსა და ოდესაში, სადაც, დასახელებულ საკონსულოთა მოსამსახურეებს გარდა, არ არიან იაპონიის ქვეშევრდომები და არ არსებობს რაიმე ინტერესები, რომელთაც ესაჭიროებოდეს დაცვა საკონსულოების მხრივ, წარმოადგენენ სწორედ იმ საკონსულოებს, რომელთა შემდგომი არსებობა არ შეიძლება გამართლებულ იქნას საქმიანი მოსაზრებებით და რომლებიც ამიტომ შეიძლება დაიხუროს, რაც არავითარ ზიანს არ მოუტანს იაპონიის წარმომადგენლობის მუშაობას სსრ კავშირში.

იაპონიის მთავრობა თავის მიმოწერებში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან არ ეთანხმებოდა საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს და აღნიშნავდა, რომ მომავალში შესაძლებელია ამ პუნქტებში გაჩნდნენ იაპონელი მოქალაქენი და ინტერესები, აგრეთვე შესაძლებელია, რომ მომავალში იაპონიის გემებმა შეიარონ ოდესაში. ამრიგად, იაპონიის მთავრობამ სინამდვილეში უარი სთქვა საბჭოთა მთავრობის სავსებით კანონიერი წინადადების მიღებაზე და თავი აარიდა საქმიან მოლაპარაკებას საკითხის არსებით მხარეზე. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც თანმიმდევრობით ატარებს საკონსულოების თანასწორობის პრინციპს და ამ მიმართულებით უკვე მიაღწია შეთანხმებას, მაგალითად, პოლონეთთან, აცნობა იაპონიის მთავრობას, რომ იგი იძულებულია მიიღოს გადაწყვეტილება ა. წ. 15 სექტემბრიდან არ იცნოს ნოვოსიბირსკსა და ოდესაში იაპონიის საკონსულოების უფლება შეასრულონ მათ საკონსულო ფუნქციები აღნიშნულ პუნქტებში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. პ. გრიჩმანოვი დანიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ.

გარდავქმნათ პარტკაბინეტების მუშაობა

ახალ პოლიტიკურ ვითარებაში დიდად გაიზარდა პროპაგანდისა და პოლიტიკური აგიტაციის როლი. იგი კომუნიზმის დიადი ცეცხლით ათბობს მშრომელთ, ზრდის მათში ბრძოლის უნარს, ერთგულებას პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, რომელმაც შექმნა საამური და ბედნიერი ცხოვრება. განსაკუთრებით განუზომელია აგიტაცია-პროპაგანდის როლი დღეს, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მომზადების პერიოდში. ახლა ჩვენ გვესაჭიროება უდიდესი სიძლიერის სააგიტაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა დავრაზმოთ მასები სტალინური კონსტიტუციით გათვალისწინებულ ახალ საარჩევნო სისტემის განხორციელებისათვის. ხალხის მტრების ნაბოლარებს არ სძინავთ. ისინი შეეცდებიან გააძვრინონ თავისი აგენტები უზენაეს საბჭოში, მაგრამ „თუ ჩვენი სააგიტაციო მუშაობა ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი თავის უზენაეს ორგანოებში მტრულ ადამიანებს არ შეუშვებს“ (სტალინი).

ამრიგად, პოლიტიკური აგიტაციის მოწყობაზე დიდად არის დამოკიდებული უზენაესი საბჭოს არჩევნების ბოლშევიკური ჩატარება. არ შეიძლება სააგიტაციო მუშაობა მეორეხარისხოვან მუშაკებს მივანდოთ. აგიტატორს ღრმა პოლიტიკური ცოდნა მოეთხოვება. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. აგიტატორი არა მარტო მცოდნე უნდა იყოს, არამედ მას აგრეთვე უნდა შესწევდეს აგიტაციის გაწევის უნარი. „როგორ უნდა ეწეოდე აგიტაციას, საჭიროა ამას სწავლობდე იმ შემთხვევაშიც, როცა იცი, თუ რა უნდა ილაპარაკო“. მაშასადამე, აგიტატორს დიდი დახმარება ესაჭიროება. მისი თეორიული და მეთოდური ცოდნის ამაღლებისათვის პარტიული ორგანიზაცია უნდა ზრუნავდეს. განსაკუთრებით დიდია პარტიული კაბინეტების როლი აგიტაცია-პროპაგანდის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენების დარგში.

საქართველოში ცოტა როდია ისეთი პარტკაბინეტები, რომლებსაც ნამდვილად ესმით თავისი დანიშნულება და კარგად ხელმძღვანელობენ აგიტაციისა და პროპაგანდის საქმეს (ახალციხე, მახარაძე, თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა და სხვ.), მაგრამ ბევრი პარტიული კაბინეტი ჩამორჩა, ვერ აკმაყოფილებს ახალ გაზრდილ პოლიტიკურ მოთხოვნებს, უკეთეს შემთხვევაში გადაიქცა უბრალო სამკითხველოდ.

აგიტაციისა და პარტიული განათლების რა წარმატებებზე შეუძლიათ ილაპარაკი, მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის, ყვარლის და ჯავის რაიკომებს, როცა იქ პარტკაბინეტების გამგეებს დეკადობით და თვეობით ჰგზავნიან სოფლად სამუშაოდ, ხოლო იმ დროს პარტკაბინეტებს ხურავენ. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ სათანადოდ ვერ აფასებენ პარტიული კაბინეტების მნიშვნელობას, დახმარებას არ უწევენ პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს, არ აწყობენ კონსულტაციებს, საუბრებსა და მოხსენებებს, და ამით საფრთხეში აყენებენ პარტიული განათლებისა და აგიტაციის საქმეს.

თუ ერთის მხრით პარტკაბინეტების სუსტი მუშაობა რაიკომების უყურადღებობით აიხსნება, მეორე მხრით მუშაობის ხარისხზე მოქმედებს პარტკაბინეტების გამგეებად შეუფერებელი მუშაკების შერჩევა. როგორ შეუძლია, მაგალითად, პარტიული კაბინეტის ხელმძღვანელობა ვ. თომეიშვილს (ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა), როცა მას მომზადება არ ჰყოფნის. ასევე ითქმის სამხრეთ-ოსეთის პარტკაბინეტის გამგეზეც.

ზოგჯერ პარტიული კაბინეტის მუშაობას აფერხებს გულგრილი და დაუდევარი გამგე. ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი ტიპის გამგეები, როგორიც არის ცხაკაიას რაიკომის პარტკაბინეტის გამგე ბახტაძე, რომელიც უპასუხისმგებლოდ აცხადებს — „კონსულტაციაზე ამხანაგები არ მოდიან და მე რა ვქნაო“. ასეთი განცხადება პირველ რიგში იმის მაჩვენებელია, რომ თვით პარტკაბინეტი მოწყვეტილია პარტიულ მასას.

ბაღდათის რაიკომის პარტიული კაბინეტი კარგახანია ვერ ასრულებს თავის პირდაპირ მოვალეობას; ის არ იცნობს აგიტატორებს, პროპაგანდისტებს, კომუნისტებს, და ეს გამოწვეულია იმით, რომ ექვს თვეზე მეტია, რაც პარტკაბინეტში მოხსენებები, საუბრები და კონსულტაციები არ მოწყობილა. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას თელავის, ხაშურის, თიანეთის, ფოთის ნავსადგურის პარტკაბინეტებზეც. უფრო ცუდი მდგომარეობაა თბილისის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომთან არსებულ პარტკაბინეტში. აქ ხუთი თვის განმავლობაში პარტიულ კაბინეტს გამგე სულაც არ ჰყოლია. უკანასკნელად პარტიულმა კომიტეტმა ეს საქმე ჩააბარა ამხ. სობოლევას, რომელსაც ქართული ენის უცოდინარობის გამო მუშაობა მეტად უძნელდება.

კიდევ უფრო ღრმაშფოთებელია ფაქტი, რომელსაც თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში ჰქონდა ადგილი. აქ პარტკაბინეტის გამგედ დიდხანს იყო უინიციატივო და მოუქნელი ადამიანი შ. ბულკაშვილი. აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის მას არავითარი დახმარება არ გაუწევია. საკვირველი ის არის, რომ ბულკაშვილის უხეირო მუშაობა ქარხნის პარტიულ კომიტეტს სავსებით აკმაყოფილებდა.

მოყვანილი ფაქტები მოწმობენ იმას, რომ საქართველოს ბევრ პარტიულ კაბინეტში საგიტაციო მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას. მდგომარეობის ასე გაგრძელება შეუწყნარებელია.

პარტიულმა კაბინეტებმა მუშაობა უნდა გარდაჰქმნან მიმდინარე მომენტის მოთხოვნების შესაბამისად. რაიკომებმა და პარტკომებმა უნდა გადასინჯონ პარტკაბინეტების კადრები, შეისწავლონ მათი მუშაობა, მოაშორონ ამ საქმეს შეუფერებელნი, შესწყვიტონ პარტკაბინეტების გამგეთა ხშირი მივლინება-მიმაგრების მავნე პრაქტიკა, ყოველმხრივ დაეხმარონ პარტიულ კაბინეტს, გახადონ იგი ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის ნამდვილ კერად.

პარტიულ თემაზე

პოლიტიკური გულდანდობის ნაკვალევი

აქ. კილასონია

საქ. კ.პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის ინსტრუქტორი

პარტიული განათლებისა და პოლიტიკური აგიტაციის დარგში არსებული მდგომარეობა ცხაკაიას რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში სრულებით ვერ უპასუხებს პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პროპაგანდისტული და საგიტაციო მუშაობა ჩაშლილია. ეს მოხდა იმის შედეგად, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის კულტპროპგანყოფილების გამგედ დიდხანს იჯდა ამჟამად უკვე მხილებული მავნებელი.

სოფ. ძველი სენაკის ამხ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციიდან რაიკომს არაერთი სიგნალი მიუღია იმის შესახებ, რომ პროპაგანდისტი ჯანჯღავა საუბრის დროს ანვითარებდა ტროცკისტულ აზრებს, ხშირად შლიდა მეცადინეობას და სხვ. როცა მდგომარეობა გულდასმით შევამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ ამ ორგანიზაციაში ძალზე ცუდად იყო დაყენებული მასობრივი პოლიტიკური მუშაობა. პარტორგანიზაციას, მართალია, ოდესღაც გამოუყვია აგიტატორები და მესაუბრე-წამკითხველები, მაგრამ შემდეგ ისინი დავიწყებიათ, და მათ არავინ ხელმძღვანელობს.

ასეთივე მდგომარეობაა რაიონის სხვა პირველადს პარტორგანიზაციებშიც. მაგალითად, ნოქალაქევის ტერიტორიულ პირველადს პარტორგანიზაციასთან მოწყობილ წესდებისა და პროგრამის შემსწავლელ პოლიტწრეში დაკომპლექტებიდან დღემდე 17 მეცადინეობაა ჩაშლილი. პროპაგანდისტი ნ. ჯავახია ამ მდგომარეობას ხსნის მსმენელთა დაუსწრებლობით, ხოლო მსმენელები — პროპაგანდისტის გამოუცხადებლობით. გამოირკვა, რომ მეცადინეობის ჩაშლის მიზეზი უმთავრესად ისაა, რომ პროპაგანდისტი არ დგა მოწოდების სიმაღლეზე.

მეცადინეობას ხშირად აცდენენ კომუნისტები: გრ. კოკაია, ვახანია, გამსახურდია და სხვ. ამიტომ შეთვისების ხარისხიც მეტად დაბალია.

პარტიის წევრმა გრ. კოკაიამ, რომელმაც რეკომენდაცია მისცა თანამგრძნობ ჯერენაიას პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებაზე, თითონ ვერ უპასუხა კითხვაზე, რამდენი კატეგორია არსებობს პარტიაში მისაღებთათვის და ვინ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება.

ნოქალაქევის პარტორგანიზაციას წარსულში რაიკომის მხრივ ხელმძღვანელობა აკლდა, მაგრამ პარტორგანიზატორ ამხ. კირძახისაც არავითარი ზომები არ მიუღია ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ბოლშევიზმის დაუფლების ლოზუნგს ცხაკაიას რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა. მაგალითად, სოფელ ბეთლემის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ მუშაობენ მცირემცოდნე კომუნისტები ალ. ხუბუნაია, მ. ხუბუნაია და პარკალაია. რაიონულ კომიტეტს გასულ წელს მათთვის ჩამოუყალიბებია მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლა, მაგრამ სკოლა დარჩენილა ქაღალდზე, ერთი მეცადინეობაც არ ჩაუტარებიათ. მასწავლებელმა ამხ. მიქავამ მრავალჯერ მოსთხოვა მსმენელებს მეცადინეობაზე მოსვლა, მაგრამ პარტორგანიზატორმა ალ. ხუბუნაიამ განუცხადა: „ხელს ნუ უშლი, ადროვე მიმდინარე სამუშაოების დამთავრებაო“.

მსგავსი მდგომარეობაა ნოქალაქევის კოლმეურნეობა „კოლმეურნის დღესთან“ არსებულ და მთელ რიგ სხვა პირველადს პარტორგანიზაციებში.

არც რაიკომის პარტკაბინეტი დგას მოწოდების სიმაღლეზე. როგორც ცნობილია, პროპაგანდისტმა, სანამ სკოლაში სამეცადინოდ წავიდოდეს, უნდა გაიაროს პროპაგანდისტთა სემინარი, მაგრამ ვინაიდან ეს სემინარები სისტემატურად არ ეწყობა და პროპაგანდისტებს კონტროლი არ ეწევა, ისინი ხშირად მოუმზადებელნი მიდიან მეცადინეობაზე.

სისტემატურად იშლება პარტკაბინეტთან მოწყობილი რაიაქტივის სემინარების მეცადინეობა.

პარტკაბინეტი დაკავშირებული არ არის პირველადს პარტორგანიზაციებთან, არ ეწყობა კონსულტაციები, პროპაგანდისტებსა და კომუნისტებს პარტკაბინეტი დახმარებას არ უწევს. პარტკაბინეტის გამგის ამხ. ბახტაძის განცხადება — „კონსულტაციაზე ამხანაგები არ მოდიან და მე რა ვქნაო“, არ არის ჯანსაღი. პარტკაბინეტი რაიონში პარტიული სწავლების და პოლიტიკური აგიტაციის კერაა. მან ცოცხალი კავშირი უნდა დაამყაროს პირველადს პარტორგანიზაციებთან, პროპაგანდისტებთან, აგიტატორებთან და მესაუბრე-წამკითხველებთან, დაეხმაროს მათ ყოველდღიურ მუშაობაში, სისტემატურად მოაწყოს პროპაგანდისტთა სემინარები, კონსულტაციები და სხვ.

ყველასათვის ცნობილია, რომ ახალი სტალინური კონსტიტუციის შემოღება ნიშნავს მობრუნებას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით ახლა, ამ ახალ პოლიტიკურ ვითარებაში მშრომელი მასა პარტიულ ორგანიზაციებს უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს. პოლიტიკური აგიტაციის და პარტიული განათლების ქსელის მართებულად დაყენებით ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ყველა მშრომელი ყოველთვის იყოს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ვითარების კურსში. ამისათვის საჭიროა — კი არ ვიწუწუნოთ, არამედ ვიმუშაოთ.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიონულმა კომიტეტმა უკანასკნელად ენერგიულად მოჰკიდა ხელი პარტიული განათლებისა და ძირეული პოლიტიკური აგიტაციის გაუმჯობესების საქმეს. საჭიროა როგორც პარტიის რაიკომმა, ისე პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად იზრუნონ პარტიულ და უპარტიო მასის ბოლშევიკურ აღზრდაზე.

თბილისის კალინინის სახელობის ქარხნ ის კომკავშირელი აგიტატორი ამხ. ალამაღლოვი მექანიკურ საამქროში ახალგაზრდებს უკითხავს „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას“.

ფოტო—გინზბურგისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

პრესის მიმოხილვა

უდარდელი გაზეთები

„ტყიბულის მაღაროელი“ — ტყიბული, „ბრძოლის დროშა“—ჩოხატაური

ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება. ეს დრო სავსებით საკმარისი იყო ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის მოსაწყობად.

რაიონული გაზეთების უპირველესი ამოცანაა დაეხმარონ რაიონის პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალი საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტების მოწყობაში, გააშუქონ მისი შესწავლის მიმდინარეობა, ამხილონ უდარდელნი ამ საქმეში და მოწინავეთა გამოცდილება გადასცენ ჩამორჩენილებს.

საქართველოში ცოტა როდია ისეთი რაიონული გაზეთები, რომლებმაც ვერ გაიგეს ახალი საარჩევნო კანონის შესწავლის უდიდესი მნიშვნელობა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ზოგიერთი რაიონული გაზეთები ახალი საარჩევნო კანონის შესწავლის მიმდინარეობაზე ან სრულებით არაფერს სწერენ, ან და ცარიელ ლაყბობას შეექცევიან.

მიმოხილვისათვის აღებული ტყიბულისა და ჩოხატაურის რაიონული გაზეთების მუშაობა დამახასიათებელია ბევრი სხვა რაიონული გაზეთისათვისაც.

ტყიბულის რაიონში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს; რაიაღმასკომი, ქალაქის საბჭო და სოფლის საბჭოები ძლიერ სუსტად მუშაობენ ამ მიმართულებით.

„დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ „ტყიბულის მაღაროელმა“ გამოაქვეყნა ამა წლის 18 ივლისს. ამის შემდეგ სრული ერთი თვის განმავლობაში გაზეთს არ მოუთავსებია არცერთი, თუნდაც პატარა, კორესპონდენცია დებულებაზე მშრომელთა გამოხმაურებისა და მის შესწავლის მიმდინარეობის შესახებ, თუ არ ჩავთვლით 24 ივლისის ნომერში მოთავსებულ წერილს სათაურით: „ბოლშევიკური აგიტაცია დაიწყეს“, სადაც გაკვრით არის ნათქვამი, რომ ქვანახშირის ტრესტის აპარატის მუშაკებს „უზენაესი საბჭოს დებულებაც არ დაუმუშავებიათო“.

მხოლოდ 18 აგვისტოს ნომერში გამოჩნდა პირველი წერილი, რომლის სათაურია: „მოვსპოთ ზერელობა უზენაესი საბჭოს დებულების შესწავლაში“, თვით წარმოადგენს საქმისადმი ზერელედ მოპყრობის იშვიათ ნიმუშს. წერილი ერთობ ზოგადია და მასში საერთოდაა ლაპარაკი იმაზე, რომ სოფლის საბჭოებში „ზერელედ მიმდინარეობს საარჩევნო კანონის სწავლება, „კოლმეურნეობებში საამისოდ ძალიან ცოტას აკეთებენ“ და რომ „ეს საქმე სინამდვილეში დავიწყებას მიეცა“. მაგრამ არ არის დასახელებული არცერთი კონკრეტული დამნაშავე.

24 აგვისტოს „ტყიბულის მაღაროელმა“ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის საკითხს მიუძღვნა სრულიად უპასუხისმგებლოდ დაწერილი მოწინავე წერილი, რომლის დასაწყისში ვკითხულობთ:

„ამ უდიდესი ისტორიული დოკუმენტის ბეჯითად შესასწავლად (ლაპარაკია უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებაზე—რედ.) ჩვენს წარმოებებში, ფაბრიკა-ქარხნებში და კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა საგიტაციო მასობრივი მუშაობა და ჩამოყალიბდა მრავალი წრეები (!), რომელთაც საქმის ერთგული და მცოდნე ადამიანები ჩაუდგა (!) სათავეში“.

ცოტა ქვემოთ კი იმავე წერილში მკითხველი გებულობს, რომ საწირის, კურსებების, ხრესილის და ტყიბულის საბჭოები არაფერს აკეთებენ ახალი საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტებისათვის, „არც მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა შორისაა სახარბიელოდ დაყენებული დებულების სწავლება“ და „ამხანაგებმა ადგილებიდან, — აცხადებს გაზეთი, — ვერ მოიფიქრეს, რომ საჭიროა დებულების შემსწავლელი წრეების მოწყობა“.

ეს ერთმანეთის საწინააღმდეგო ამონაწერები მოწმობენ გაზეთის დაბნეულობას. გაზეთი არ არის იმ საკითხის კურსში, რომელზედაც მოწინავეს სწერს. სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას ის ფაქტი, რომ მოწინავე წერილში, რომელსაც გაზეთის ორი სვეტი უჭირავს, დასახელებული არ არის არცერთი კონკრეტული ფაქტი, არცერთი დამნაშავის გვარი.

მესამე და ამ საკითხზე უკანასკნელი წერილიც, რომელიც მოთავსებულია 30 აგვისტოს ნომერში, წარმოადგენს უვიცობისა და უპასუხისმგებლობის ნიმუშს. ავტორი გვარწმუნებს, რომ „მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ ორჯერ მოიწვია აგიტატორთა სემინარი, სადაც ღრმად (!) შეისწავლეს სტალინური კონსტიტუციის პრინციპებით გამსჭვალული დებულება“ და რომ ამჟამად „მაღაროს თვითეული მუშა გარკვეულია ახალი არჩევნების წესში და შეგნებული აქვთ (!) ის უფლებები, რომელიც მათ ახალ საარჩევნო კანონით ენიჭებათ“.

ძნელი არაა მიხვედრა, რომ გაზეთი ამნაირი უპასუხისმგებლო და თვითდამამშვიდებელი ფრაზებით ხელს უშლის ახალი საარჩევნო კანონის ნამდვილ შესწავლას.

ახალი საარჩევნო კანონის შესწავლა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჩოხატაურის რაიონშიც. როგორ იბრძვის ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომისა და რაიაღმასკომის გაზეთი „ბრძოლის დროშა“?

ჩვენ გულდასმით გადავათვალიერეთ გაზეთ „ჩვენი დროშას“ ივლის-აგვისტოს ნომრები (გარდა ერთისა № 20 (196), რომელიც ხელთ არ გვქონდა) და მხოლოდ 15 აგვისტოს ნომერში აღმოვაჩინეთ ერთი პატარა კორესპონდენცია, რომელიც ახალი საარჩევნო კანონის შესწავლას შეეხება; დანარჩენ ნომრებში კი ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის მიმდინარეობაზე.

ერთად—ერთი წერილი სათაურით: „სწავლობენ საარჩევნო კანონს“, რომელიც მოთავსებულია „ბრძოლის დროშის“ 15 აგვისტოს ნომერში, წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ როგორ არ უნდა დაიწეროს საგაზეთო კორესპონდენცია, იგი ავსილია ასეთი ფრაზებით: „რაიონის მუშა - მოსამსახურეები და კოლმეურნეები გულმოდგინედ სწავლობენ „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას“, „დიდის ინტერესით მიმდინარეობს „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ შესწავლა კოლმეურნეთა შორის“, „კოლმეურნეები გულდასმით სწავლობენ არჩევნების დებულებას“ და სხვ. (სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ეს კორესპონდენცია მოთავსებულია გაზეთის მეოთხე გვერდზე).

რით აიხსნება გაზეთის ეს მავნე დუმილი? არ ვიცით, რა პასუხს გასცემს ამ კითხვაზე „ბრძოლის დროშის“ რედაქცია.

რაიონული გაზეთების მიერ ახალი საარჩევნო კანონის შესწავლის შეუფასებლობას, მისი მიმდინარეობის გაშუქებისადმი უპასუხისმგებლობასა და იდიოტურ ავადმყოფობას — უდარდელობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

ორი სასოფლო საბჭოს მუშაობის მაგალითი

უშ. ხოფერია

საქ. ცაკის ინსტრუქტორი

შუხუთის სასოფლო საბჭომ (ლანჩხუთის რაიონი) თავისი მუშაობის გარდაქმნა დაიწყო საბჭოს წევრთა აქტივიზაციით. ახლა არ არის საბჭოს არც ერთი წევრი, რომელსაც კონკრეტული დავალება არ ჰქონდეს მიცემული.

დავალების შესრულების შესამოწმებლად საბჭოს თავმჯდომარეს სპეციალური რვეული აქვს შემოღებული, რვეულში ჩაწერილია დავალების შესრულების ხასიათი და ვადა.

ამით უნდა აიხსნას, რომ საბჭოს პრეზიდიუმისა და პლენუმის გადაწყვეტილებანი ახლა დროზე სრულდება. საბჭოს წევრთა აქტივიზაციას დიდად შეუწყო ხელი ამომრჩევლების წინაშე დეპუტატთა ანგარიშის ჩატარებამ. საბჭოს წევრთა ანგარიშებას თან ახლდა გაშლილი თვითკრიტიკა. სოფ. შუხუთში ასეთი თვითანგარიშში ამომრჩევლებს საბჭოს 12 წევრმა ჩააბარა.

საბჭოს წევრთა აქტივობის მაჩვენებელია, რომ საბჭოს სხდომაზე კამათში მონაწილეობს 15-20 კაცი. ასეთმა აქტივობამ გამოზარდა და წინ წასწია საბჭოს წევრები. თუ წინათ გაზეთების კითხვასა და ცალკეულ საკითხებზე საუბრებს კოლმეურნეობებში მხოლოდ მასწავლებლები ატარებდნენ, დღეს საბჭოს წევრი კოლმეურნენი (მშვიდობაძე, იმნაიშვილი, გურგენიძე, ფირცხალაიშვილი და სხვ.) სისტემატურად უკითხავენ გაზეთებს და ახსნაგანმარტებას აძლევენ კოლმეურნეებს.

ასეთ ახსნა-განმარტებითს მუშაობას პირადათ ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ორაგველიძე.

შუხუთის სასოფლო საბჭო სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობაში სტახანოვური მოძრაობის გაშლას. სტახანოვურ მუშაობაში მაგალითის მიმცემი არიან საბჭოს წევრი კოლმეურნენი. მათ დიდი საწარმოო აქტივობა გვიჩვენეს. მაგალითად, საბჭოს წევრმა გ. გურგენიძემ გამოიმუშავა 290 შრომადღე, ზესარიონ ორაგველიძემ — 200, იაკინთე ფირცხალაიშვილმა — 190, ნინო ბზეკალავამ — 150, ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობაში საშუალო გამომუშავება ერთ კაცზე 85 შრომადღეს შეადგენს.

საბჭოს წევრთა ასეთმა გაზრდილმა საწარმოო აქტივობამ და სოცშეჯიბრებაში მათმა ჩაბმამ დიდი ინტერესი გამოიწვია. შუხუთის კოლმეურნეობას დღეს 40-მდე სტახანოველი ჰყავს, მაშინ, როცა შარშან კოლმეურნეობა სულ 10 სტახანოველს ითვლიდა.

გაზაფხულის ხვნა-თესვისა და მარგვლა-თოხნის გეგმები საბჭომ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა. საუკეთესოდ მოვლილი სიმინდის ყანები წელს კოლმეურნეობას შარშანდელთან შედარებით ერთი-ოთხად მეტ მოსავალს მისცემს. კოლმეურნენი სიხარულით ელიან უხვ მოსავალს.

გუმბრალაურის სასოფლო საბჭოს მუშაობის იგივე პირობები და შესაძლებლობა აქვს, რაც შუხუთისას, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ სულ სხვა სურათს ვხედავთ. გუმბრალაურის სოფლსაბჭომ მუშაობის მთავარი უბანი — საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა უყურადღებოდ დასტოვა. მუშაობის მთელი სიმძიმე პრეზიდიუმს დააწვა. საბჭოს წევრთა 90 პროცენტს დავალება არა აქვს. საბჭოს წევრებს მხოლოდ მაშინ ეძახიან, როცა სხდომას მოიწვევენ. სხდომის გახსნამდე საბჭოს წევრებმა დღის წესრიგი არ იციან, ამიტომ არის, რომ საბჭოს წევრები ვერ იჩენენ აქტივობას საკითხების გარჩევაში, იშვიათად გამოდიან კამათში, ნაკლებად შემოაქვთ პრაქტიკული წინადადებანი და სხვ.

საბჭოს პრეზიდიუმი სექციებს კონკრეტულ დახმარებას არ უწევს. სექციის თავმჯდომარეები საკითხებში ვერ ერკვევიან. საბჭოს პრეზიდიუმმა მხოლოდ ერთხელ, მიმდინარე წლის ივნისში მოისმინა კულტსექციის თავმჯდომარის მ. იმნაძის მოხსენება. პრეზიდიუმმა ნაცვლად იმისა, რომ აღნიშნული სექციისათვის, რომელიც სუსტად მუშაობს, დაესახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, გამოიტანა დადგენილება: „კულტსექციის მუშაობა ჩაითვალოს კარგად“, და ამით ამოსწურა ყველაფერი.

ან კიდევ მეორე მაგალითი. საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა რა დამზადების სექციის თავმჯდომარის ანგარიში, დაადგინა: „წინადადება მიეცეს დამზადების ხელმძღვანელს კ. იმნაძეს, თუ სამი ივნისისათვის არ ამოსწურავს დამზადების გეგმას, აღინიშნება მისი ცუდი მუშაობა“.

ეს ორი მაგალითი თავისთავად მოწმობს თუ როგორ ხელმძღვანელობს საბჭოს პრეზიდიუმი სექციებს. საბჭოს არცერთ წევრს არ ჩაუბარებია ანგარიში ამომრჩეველთათვის. საბჭოს არ მოეპოვება ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესი, ის ზერელედ „მუშაობს“.

საბჭოს დღემდე არ დაუმუშავებია დიდი სტალინის ისტორიული მოხსენება საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე, ამხ. იაკოვლევის მოხსენება საკავშირო ცაკის მე-4 სესიაზე და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება.

საჭიროა გუმბრალაურის სასოფლო საბჭომ ახლავე შეუდგეს ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას.

ლანჩხუთის აღმასკომი ვალდებულია დაეხმაროს გუმბრალაურისა და სხვა სასოფლო საბჭოებს თავიანთ მუშაობის ახლებურად მოწყობაში.

სსრ კავშირი შეუერთდა ნიონის შეთანხმებას

საბჭოთა მთავრობა შეუერთდა ნიონის კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმებას კოლექტიურ ღონისძიებებზე პირატულ მოქმედებათა წინააღმდეგ, რომლებსაც სჩადიან წყალქვეშა ნავები ხმელთაშუა ზღვაში. უნდა მოველოდეთ, რომ უახლოეს დღეებში ამ შეთანხმებას დაამტკიცებენ სხვა სახელმწიფოებიც, რომლებიც დაინტერესებული არიან საზღვაო ყაჩაღობასთან ბრძოლით, რის შემდეგ იგი ძალაში შევა.

ნიონის შეთანხმება პირატობასთან ბრძოლის შესახებ წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის მთელ სიმწვავეს. ფაშისტი აგრესორები მთელს ქვეყნიერებაზე შფოთისა და უკანონობის თესლსა სთესავენ, ისინი იმედს ამყარებენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებაზე. საზღვაო ბანდიტიზმი, რომელიც კაცობრიობას დიდიხნის გარდასული საუკუნეებისაკენ აბრუნებს, გვიჩვენებს, რომ აგრესორები არავითარ საშუალებას არ თაკილობენ თავიანთი დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად. ეს გარემოება მთელი ძლიერებით უკარნახებს მშვიდობიანობის შენარჩუნებით დაინტერესებულ სახელმწიფოებს, რომ აუცილებლად საჭიროა ძალების გაერთიანება ომის გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ. აგრესიის წინააღმდეგ კოლექტიურ მოქმედებათა არც თუ ისე მხურვალე მომხრენიც კი ამჟამად იძულებული არიან ერთად მიიღონ ზომები ფაშისტური პროვოკაციებისაგან თავის დასაცავად.

სსრ კავშირის მონაწილეობა ნიონის შეთანხმებაში სავსებით კანონზომიერია და აიხსნება მისი საარსებო დაინტერესებით ხმელთაშუა ზღვის პრობლემაში. ხმელთაშუა ზღვის გზები შავი ზღვის ნავსადგურებს აკავშირებენ „დიდ წყალთან“ — ატლანტიკასთან: „საბჭოთა კავშირი ეკვრის წყლებს, უშუალოდ რომ ერთვიან ხმელთაშუა ზღვას, რომელიც აკავშირებს როგორც საბჭოთა ნავსადგურებს გარე ქვეყნებასთან, ისე საბჭოთა ნავსადგურებს ერთმანეთთან“ (ლიტვინოვი). მშვიდობიანობა და წესრიგი ხმელთაშუა ზღვაში საბჭოთა კავშირს აუცილებლად ესაჭიროება თავისი ვაჭრობისა და ნაოსნობის განსავითარებლად. საბჭოთა ქვეყანას ხმელთაშუა ზღვაზე არსებითი ინტერესები აქვს. ეს აშკარად იქნა აღიარებული ნიონის კონფერენციის გადაწყვეტილებებში. ბუნებრივია, რომ სსრ კავშირი მზად არის ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებთან ერთად გაიზიაროს პასუხისმგებლობა ხმელთაშუა ზღვის აუზში წესრიგის ორგანიზაციისათვის და კანონიერების დაცვისათვის.

შეთანხმება ხმელთაშუა ზღვაში პირატობასთან ბრძოლის შესახებ იტალიის და გერმანიის მიერ მონაწილეობის მიუღებლად არის შემუშავებული. ამ ფაშისტურმა სახელმწიფოებმა ნიონის კონფერენციას საბოტაჟი გამოუცხადეს, ცდილობდნენ ჩაეშალათ იგი, უარი სთქვეს მონაწილეობა მიეღოთ მის მუშაობაში. იტალიელმა ფაშისტებმა და მათმა გერმანელმა ხელშემწყობებმა ამით საბოლოოდ ამხილეს თავისი თავი, როგორც დამნაშავეებმა ხმელთაშუა ზღვაზე ყაჩაღობაში. მაგრამ მათ თავიანთი საბოტაჟით ვერ შესძლეს ჩაეშალათ ნიონის კონფერენციის მოწვევა და მუშაობა. კონფერენცია მათი სურვილის წინააღმდეგ შესდგა. შეთანხმება პირატობასთან ბრძოლის შესახებ პირატების ნებასურვილის წინააღმდეგ იქნა შემუშავებული.

იტალიელი ფაშისტები ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობას იჩემებენ და მას „რომის მეორე იმპერიის“ „შინაურ ზღვად აცხადებენ“. ამაშია მუსოლინის მრავალი განცხადების აზრი. ხმელთაშუა ზღვის შეთანხმება სავსებით აქარწყლებს ფაშისტი დიქტატორის ამგვარ უაზრო პრეტენზიებს. შემთხვევითი როდია, რომ ხმელთაშუა ზღვის მაგისტრალების დაცვა გიბრალტარიდან დარდანელამდე იკისრეს ინგლისმა და საფრანგეთმა. ამ სამხედრო ხომალდთა 40 პროცენტს, რომლებსაც ამ მიზნით ხმელთაშუა ზღვაში თავს მოუყრიან, ჰგზავნის საფრანგეთი, 60 პროცენტს კი — ინგლისი. იმ შემთხვევაში, თუ ფაშისტური იტალია სიტყვას გადათქვამს და ნიონის შეთანხმებას შეუერთდება, მის ფლოტს დაეკისრება ტირენისა და ადრიატიკის ზღვების, ესე-იგი, არსებითად, იმ წყლების პატრულირება, რომლებიც იტალიის ნაპირებს უშუალოდ ეკვრიან.

ნიონის შეთანხმება სერიოზულად უთხრის ძირს ფაშისტური იტალიის საერთაშორისო პოზიციებს. ეს შეთანხმება ლახვარსა სცემს იტალიის ფაშიზმის მოკავშირე გერმანიის პრესტიჟსაც.

მარცხით დამთავრდა რომიდან და ბერლინიდან ინსპირირებული ცდები, რომ ნიონის კონფერენციაზე გაეპარებინათ იტალია-გერმანიის მარიონეტის — ფრანკოს „მეომარ მხარედ“ ცნობა. ეს ცდები მართებულ წინააღმდეგობას შეხვდნენ იმ სახელმწიფოების მხრივ, რომელნიც დაინტერესებული არიან ხმელთაშუა ზღვის აუზში მშვიდობიანობის დაცვით. შეთანხმება განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ ფრანკოს მეომარი მხრის უფლება არ ენიჭება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის მტკიცე გამოსვლა ნიონის კონფერენციაზე თავგასულ ფაშისტ-პირატებთან ბრძოლის გაშლილ პროგრამას შეიცავდა. ამ გამოსვლამ მკაფიოდ დასახა ხმელთაშუა ზღვის აუზში მშვიდობიანობისა და წესრიგის კოლექტიური დაცვის ამოცანები. ხმელთაშუა ზღვის კონფერენციისათვის „წმინდა ტექნიკურ“ ხასიათის მიცემის წინააღმდეგ, რასაც ზოგიერთი ცდილობდა, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ნათლად გააშუქა მისი პოლიტიკური ამოცანები.

ყოველივე ამასთან ერთად მშვიდობიანობის კოლექტიური დაცვის მომხრეთა თვალსაზრისმა სრული გამოხატულება ვერ ჰპოვა ნიონში შემუშავებულ—შეთანხმებაში. კონფერენციის მიერ მიღებული დოკუმენტი წარმოადგენს მხოლოდ პირველ ნაბიჯს თავზეხელაღებული ფაშისტი პირატებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზაციის გზაზე. როგორც პირველ ნაბიჯს ამ მიმართულებით, ნიონის შეთანხმებას ერთგვარი გაუბედაობის, დაუმთავრებლობის დაღი აზის.

შეთანხმება მთავარ ყურადღებას აქცევს იმ წყალქვეშა ნავების კორსარულ მოქმედებასთან ბრძოლას, რომელნიც თავს ესხმიან სავაჭრო გემებსა და ამით არღვევენ წყალქვეშა ომის ჰუმანიზაციის წესებს, რაც დადგენილია ლონდონის 1930 წლის საზღვაო ხელშეკრულებით და ლონდონის 1936 წლის ოქმით. წყალქვეშა ნავები მხოლოდ „ჰუმანიზაციის წესების“ დარღვევის შემთხვევაში იქნებიან მოსპობილი საპატრულო ხომალდების მიერ. სავსებით ცხადია, რომ შეთანხმების ეს პუნქტი მეტად ფართო ხვრელს უტოვებს ფაშისტ პირატებს. შეიძლება წინასწარ ვამტკიცოთ, რომ იტალიელთა ბანდიტური წყალქვეშა ნავები მათთვის დატოვებულ ხვრელს საზღვაო ყაჩაღობის თავისებური „ლეგალიზაციის“ ცდებისათვის გამოიყენებენ. თუმცა, ამ ცდებს რამდენადმე გააძნელებს ის პირობა, რომელსაც შეიცავს კონფერენციის ოქმი და რომელიც ითვალისწინებს, რომ ყოველი წყალქვეშა ნავი, რომელიც თავის ეროვნებას მალავს, ჩაძირულ უნდა იქნეს, როგორც პირატული ხომალდი.

შემუშავებული შეთანხმების მეორე ფრიად არსებითი ხარვეზია ის, რომ მასში მონაწილეობას არ იღებს ესპანეთის რესპუბლიკა. ნაოსნობის დაცვა, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში წესდება, ესპანეთის გემებზე არ ვრცელდება. კიდევ მეტი, შეთანხმება, თუმცა უარჰყოფს ბანდიტ ფრანკოს მიმართ მეომარი მხრის უფლების ცნობას, მაინც იხსენიებს ესპანეთში მებრძოლ „ორ მხარეს“. ცხადია, რომ ასეთი მიდგომა ნაკლებად უწყობს ხელს უშიშროების განმტკიცებას ხმელთაშუა ზღვის აუზში.

წესრიგისა და კანონიერების განმტკიცება ხმელთაშუა ზღვის აუზში, ისე როგორც მთელს ევროპაში, განუყრელად არის დაკავშირებული რესპუბლიკური ესპანეთის ბრძოლასთან თავხედი აგრესორების წინააღმდეგ. იტალიელ-გერმანელ - მაროკოელი ურდოები ცდილობენ ხელთ იგდონ ესპანეთის მიწა-წყალი, რათა პირენეის ნახევარკუნძული ახალ პლაცდარმად გადააქციონ საფრანგეთის ზურგში და ინგლისის უმნიშვნელოვანესი საზღვაო გზების უშუალო სიახლოვეთ. პირატობა ხმელთაშუა ზღვაში პირდაპირი შედეგი იყო ფაშისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციისა ესპანეთში. მთელი დემოკრატიული ევროპა, მშვიდობიანობისა და წესრიგის ყველა მოტრფე დაინტერესებულია იმით, რომ მსოფლიო ომის გამჩაღებლებს ჯეროვან წინააღმდეგობას შეხვდნენ ესპანეთში.

ესპანეთში მიმდინარე ომის მიმართ „ორ მხარეზე“ მხოლოდ იმდენად შეიძლება ვილაპარაკოთ, რამდენადაც შეიძლება „ორი მხარე“ ვუწოდოთ პირატულ წყალქვეშა ნავსა და მშვიდობიან ხომალდს, რომელსაც ვერაგულად თავს დაესხნენ. მხოლოდ გმირი ესპანელი ხალხის გამარჯვება იტალიელ-გერმანელ აგრესორებზე უზრუნველჰყოფს ნამდვილ წესრიგსა და ნამდვილ უშიშროებას ხმელთაშუა ზღვაში.

ნიონის შეთანხმება, მიუხედავად მისი უსრულობისა, წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვაში უშიშროების კოლექტიური დაცვის საერთაშორისო აქტს. შეიძლება გამოვთქვათ იმის იმედი, რომ ხმელთაშუა ზღვაში წესრიგის აღდგენისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს ამ მიმართულებით შემდგომი ნაბიჯებიც მოჰყვება. მოვლენათა ლოგიკა, რომელმაც ნიონის კონფერენცია აიძულა შეემუშავებინა კოლექტიური შეთანხმება პირატობასთან ბრძოლის შესახებ, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს აყენებს იმ გზაზე, რომ განამტკიცონ ერთიანი მოქმედების სისტემა კანონიერებისა და მშვიდობიანობის დასაცავად.

ჩვენი დიდი ქვეყანა შესძლებს მიიღოს თავისი ზომები საკუთარი სავაჭრო გემების დასაცავად. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირი მზად არის მხარი დაუჭიროს ყოველ კოლექტიურ ღონისძიებას, რომელიც უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობის შენარჩუნებითა და უშიშროების განმტკიცებით დაინტერესებულ სახელმწიფოთა საერთო ინტერესებს.

სსრ კავშირი, მშვიდობიანობისათვის ბრძოლის თანმიმდევრული პოლიტიკის ერთგული, თავისი ხელმოწერით ადასტურებს ნიონის შეთანხმებას პირატობასთან ბრძოლის შესახებ.

„პრავდის“ მოწინავე. 14/IX.

◆

აღმოვფხვრათ მეთოდური პროჟექტორობის ნაშთები

გ. გოგუაძე

საბჭოთა რესპუბლიკების განსახკომებს წერაკითხვის სწავლების მეთოდის საკითხებში დაშვებული აქვთ დანაშაულებრივი არევდარევა და პროჟექტორობა. კერძოდ, საქართველოს განსახკომი თითქოს „პრინციპულად არ სწყვეტდა" წერაკითხვის სწავლების მეთოდის საკითხს.

მართალია, წერაკითხვის სწავლების მეთოდის საკითხი ჯერ კიდევ არ არის ჯეროვანი სისრულით დამუშავებული და დაზუსტებული, თითქმის ყველა ქვეყანაში, მცირე გამონაკლისის გარდა, ბგერებსა და მარცვლებზე მუშაობა წერაკითხვის სწავლების საფუძვლადაა მიღებული, საანბანო წიგნებიც ამ პრინციპზეა აგებული, სუსტი ხელმძღვანელობის გამო ჩვენმა სკოლამ ვერ გამოიყენა ეს სასარგებლო გამოცდილება და პედაგოგიური მემკვიდრეობა.

ძველი საანბანო წიგნები ჯეროვანი ყურადღებით ეპყრობოდნენ მოსწავლეთა ენის განვითარებისა და კითხვის პროცესის გაჩარხვის საქმეს. მაგ., გოგებაშვილის „დედაენის" საანბანო ნაწილში 5000-მდე სიტყვაა მოცემული, ფლიოროვის საანბანო წიგნში — 4858 სიტყვაა, ვახტეროვის — 6267, ხოლო ლ. ტოლსტოის საანბანო წიგნში — 12.500 სიტყვაა. სულ სხვა სურათს იძლევა ახალი საანბანო წიგნები — ლექსიკის სიღარიბე და „პედოლოგიური შიში" აქ აშკარაა: ყველაზე უფრო გავრცელებულ რუსულ საანბანო წიგნში 1720 სიტყვაა, ხოლო ქართულ საანბანო წიგნში (1936 წ. გამოცემა) — 1633 სიტყვა.

ახალი სასწავლო წლისათვის საქართველოს განსახკომმა ერთგვარი გარკვეულობა შეიტანა წერაკითხვის სწავლების საქმეში: აღკვეთილია „ამერიკული მეთოდი", ხოლო ანალიზურ-სინთეზური ბგერითი მეთოდი, რომელიც უზრუნველჰყოფს მოსწავლეთა შეგნებულ მუშაობას ფრაზაზე, სიტყვაზე, მარცვალზე და ბგერაზე, საფუძვლადაა აღიარებული წერაკითხვის სწავლების საქმეში. საანბანო წიგნის გაუმჯობესების მიზნით განსახკომის მიერ გამოცხადებულ კონკურსს რვა ავტორი გამოეხმაურა.

მაგრამ მარტო საანბანო წიგნი არ კმარა, რა გინდ გამართული იყოს იგი, დაწყებითი კლასების მასწავლებლები საფუძვლიანად უნდა იყვნენ დაუფლებული წერაკითხვის სწავლების ოსტატობას. ამ მიმართულებით პედაგოგიური სასწავლებლები ცუდად მუშაობენ — ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ წერა-კითხვის მეთოდიკის საკითხებს. წერაკითხვის სწავლება დღემდე რჩება პედსასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გარეშე. ახალი სასწავლო წლიდან ეს მდგომარეობა გადაჭრით უნდა შეიცვალოს.

გამოცემის დარგში დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა. განსახკომის უხეირო მუშაობის გამო სკოლებში წერაკითხვის შესწავლა უზომოდ ჭიანურდებოდა და სასწავლო დრო უნაყოფოდ იკარგებოდა. ზოგ სკოლაში იანვარ-თებერვალში ისევ ანბანის გაცნობაზე მუშაობდნენ.

ახალმა სასწავლო წელმა გადამწყვეტი ცვლილება უნდა შეიტანოს სკოლებში წერაკითხვის სწავლების საქმეში, საბოლოოდ აღმოფხვრას მავნებლური მეთოდური პროჟექტორობის ნაშთები და სწორი გზით წაიყვანოს სასწავლო მუშაობა.

წნორის მტს-ის მეექვსე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი ამხ. ომან ქოქიაშვილი ხვნაზე. ქოქიაშვილის ტრაქტორი შეუფერხებლად მუშაობს და ხვნის ნორმას მუდამ გადაჭარბებით ასრულებს. ფოტო—ერ. სილდირიანცისა.

სწავლობენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლისათვის ლენრაისაბჭომ არაორგანიზებულ მოსახლეობაში ჩამოაყალიბა 92 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 3.735 მსმენელი—დიასახლისები და პენსიონერები. წრეების მეცადინეობა დაიწყო.

დიასახლისები დიდ ინტერესს იჩენენ მეცადინეობისადმი. ჩამოყალიბებულ წრეებში, გარდა დებულებისა, 4 მეცადინეობაზე შესწავლილი უნდა იქნას სტალინური კონსტიტუცია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პროპაგანდისტი გულგრილად ეკიდება წრეების მეცადინეობას. მაგალითად, პროპ. პირმიზოვმა, ბარხუჩაროვმა (თბილისის მაცივარი), კრმოლოვმა და ლალიაშვილმა (რკ. გზ. ფოსტა) მეცადინეობა ჩაშალეს.

წრეების ნაწილი უზრუნველყოფილი არ არის სახელმძღვანელოებით, ეს გამოწვეულია იმით, რომ საკმაო რაოდენობით არ იშოვნება ამხ. იაკოვლევის მოხსენება და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება. საჭიროა ამთავითვე მივიღოთ ზომები წრეების ნორმალური მეცადინეობისათვის.

უზენაესი საბჭოს არჩევნების შესწავლის საქმეში ყოვლად დაუშვებლად იქცევა ქალაქის ბინათკავშირი. მას დღემდე არც კი მოჰგონებია, რომ თავის სახლებში ჩამოაყალიბოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეები. ბინათკავშირი დახმარებასაც არ უწევს რაისაბჭოს დიასახლისების წრეების დაკომპლექტებაში.

ქალაქის ბინათკავშირმა ახლა მაინც უნდა მოჰკიდოს ხელი უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის საქმეს. უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება ყველა მშრომელს გულდასმით უნდა შევასწავლოთ.

პ. შაორშაძე

საშემოდგომო თესვა ჩაშლის წინ

ცაგერის რაიმიწგანს მხედველობიდან გამორჩა საშემოდგომო თესვისათვის მზადება. ამიტომ არის, რომ კოლმეურნეობათა საგრძნობ ნაწილს არათუ პრაქტიკულად არ დაუწყია თესვა, არამედ სათესლე მასალაც არ მოუმარაგებია.

სოფელ ლახევის კოლმეურნეობას დღეისათვის საშემოდგომო თესვა დამთავრებული უნდა ჰქონდეს. ფაქტიურად, 5 სექტემბრისათვის თესვის გეგმა სამესამედოდაც არ ჰქონდა შესრულებული. მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობამ სათესლე მასალა დროულად არ გალეწა, აგროტექნიკოსმა ვ. ნემსიწვერიძემ კოლმეურნეობას ურჩია—არა უშავს რა, სათესლე მასალა მერეც შეგიძლიათ გალეწოთ. ეს სამუშაო უკანა რიგში მოაქციეს და, როცა გალეწეს, შემდეგაც არ მიიღეს ზომები თესლის გასაწმენდად. რაიმიწგანი რომ მოწყვეტილი არ იყოს ამ კოლმეურნეობას, ასეთ უმსგავსოებას ადგილი არ ექნებოდა. საკმაო სათესლე პური სექტემბრის პირველ რიცხვებისათვის არც ლეშკედის, ლაცორიის, მცხეთისა და ზუბის კოლმეურნეობებს ჰქონდათ.

უფრო უარესი მდგომარეობაა კოლმეურნეობების ხარისხოვანი თესლით უზრუნველყოფისა და შეწამლული სათესლე მასალის თესვის მხრივ. ლაცორიის, მცხეთის, ქვემო-საირმის, აჭარის, მახურის, ზემო-ორბელისა და ზემო-ლაჭანის კოლმეურნეობებში თესვა უკვე დაიწყეს, ხოლო თესლი ჯერ არ დაუხარისხებიათ, ქვემო-ლაჭანის კოლმეურნეობაში ისეთ თესლსა სთესავენ, რომელშიც 50-60 პროცენტი ძნელად მოსაშორებელი სარეველა აღმოჩნდა. ნაკურალეშის კოლმეურნეობამ 8 ჰექტარზე შეუწამლავი და დაუხარისხებელი თესლი დათესა. უსახელოს სასოფლო საბჭოში (თავმჯდომარე ასათიანი) თესვა ისე დაამთავრეს, რომ თესლი არ შეუწამლავთ, არც განთესვის ნორმები დაიცვეს, თესვა თხლად ჩაატარეს და ამით ხელოვნურად შექმნეს პირობები უბარაქო მოსავლისათვის. ასეთივე მდგომარეობაა ღვირიშის სასოფლო-საბჭოში. სოფ. ზემო-ღვირიშის კოლმეურნეობამ უკვე მასობრივად დაიწყო საშემოდგომო თესვა, მაგრამ არაჯანსაღი არაკონდიციური თესლით. მთელ 40 ჰექტარზე სათესლედ ჭვავიან პურს იყენებენ, რაც აშკარა მავნებლობაა.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ცაგერის რაიონში საშემოდგომო თესვას სუსტად ხელმძღვანელობს რაიონული აღმასკომი, და განსაკუთრებით რაიმიწგანი. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებს ჯერ კიდევ ნათელი წარმოდგენა არა აქვთ საშემოდგომო თესვის გეგმაზე, მაშინ, როცა რაიონში თესვა პრაქტიკულად უკვე გაიშალა. მაგალითად, ლასურიაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ჭაბუკიანი იძულებული იყო 3 სექტემბერს თვითონ მისულიყო რაიმიწგანში და ამოეწერა საგეგმო დავალებანი, რომლებიც საშემოდგომო თესვისათვის კოლმეურნეობას მისცეს.

ამ უმსგავსო ფაქტებმა თავისი დაღი დაასვა საშემოდგომო თესვის რაიონული გეგმის შესრულებას.

1800 ჰექტარიდან რაიონის კოლმეურნეობებს 5 სექტემბრისათვის დათესილი ჰქონდათ მხოლოდ 277 ჰექტარი (გეგმის 15,4 პროცენტი), ერთპიროვნულ მეურნეობებს კი 162 ჰექტარი ნაცვლად 1043-სა, რაც გეგმის 15,5 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საშემოდგომო თესვის დამთავრების ვადად ცაგერის რაიონისათვის დაწესებულია 25 სექტემბერი. ეს ვადა სავსებით რეალურია, თუ რაიონის პარტიული, საბჭოთა და [illegible] ორგანოები დაუყოვნებლივ აღმოფხვრიან ზემოხსენებულ უმსგავსოებებს და დააჩქარებენ თესვის ტემპებს.

გ. ყურაშვილი.

მარგანეცის დატვირთვის მექანიზაციას აგვიანებენ

ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების მუშებთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ჭიათურის მარგანტრესტმა იკისრა ვალდებულება, რომ მიმდინარე წელს ლენინის, სტალინის და ბერიას სახელობის მაღაროებში მტვირთავი მანქანებითა და სკრეპერებით მექანიზებულ დატვირთვას აიყვანდა 30 პროცენტამდე. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო ისიც, რომ შეასრულებდნენ მძიმე მრეწველობის დაუვიწყარი სახკომის ამხანაგ ს. ორჯონიკიძის დირექტივას — მაღაროში მარგანეცით დატვირთული ვაგონების ცხენით და ხელით გაგორების შეცვლას ელექტრომავლებითა და ჯალამბრებით. ეს ფრიად სერიოზული ვალდებულებანი ცუდად სრულდება.

სტალინის სახელობის მაღაროში ორ თვეზე მეტია 4 ცალი „ემკოს" ტიპის მტვირთავი მანქანა უქმად დგას კომპრესორის უქონლობის გამო. ამ მაღაროში მეორე კომპრესორი გასული წლის აგვისტოში უნდა დაედგათ, მაგრამ ახლაც არ არის დადგმული.

აგვისტოში სტალინის სახელობის მაღაროს მანქანებით უნდა დაეტვირთა მარგანეცის საერთო რაოდენობის 16 პროცენტი, ფაქტიურად ერთი ტონაც არ დაუტვირთავს.

ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ლენინის მაღაროშიც, აქ მტვირთავი მანქანები — სკრეპერები და „ემკოები" სანახევროდ დაუტვირთავია, ბერიას სახელობის მაღაროში კი დღემდე მექანიკურად დამტვირთავი ერთი მანქანაც არ მუშაობს.

მექანიზმების ათვისებისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ყოვლად შეუწყნარებელია. მარგანტრესტის და ცალკე მაღაროთა ხელმძღვანელი მუშაკები ამას სერიოზულად უნდა დაუფიქრდნენ და დაუყოვნებლივ მოუღონ ბოლო ამ საქმეში გამეფებულ უდარდელობას.

შ. ცარციძე

სიმონ ჩიქოვანი

შემოდგომის საღამოები კოლხიდაში

პირნახულის შემოსვლა სოფლად

მდიდარ ჭალებში ბჟუტავს საღამო,
როგორც აბედი მეტაუ სურნელი.
როგორც მალამო, სიო საამო
ჰქრის და მოდიან კოლმეურნენი.
მაღალ ურემზე სოფლის იმედი,
ზის დოვლათი და ქალის სინაზე.
და თავმჯდომარე ველოსიპედით
მშვილდად მოხრილი მიჰქრის სილაზე.
და მოქნეული მისი სხეული
სოფლად სისწრაფის გამომსახველი
ჩაუქრებს ჭიშკრებს როგორც წლიური
ალტაცება და ხალხის ძახილი.
ბინდში ბაასობს სიმინდის ჩალა
და ქრიამული აწუხებს ლობეს.
მხცოვან ჭადრებით აიწევს ჭალა
მიესალმება ნისლიან სოფელს.
და შენც ტაშივით მოვწყდები ადგილს
ჩავურბენ ფიქრში გართულ საროებს
ბუნებრივ თვალით მიმიღებს ნადი
და ელვებივით ვისვრი ტაროებს.
თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენი,
თქვენი მკლავის და ქონიან მიწის.
ჩრდილებს აგროვებს საღამო ხელი
და ნაკვერცხალი ტალღებზე იწვის.
ვინ გაალოცა წყარო ბავშვივით
ფერზე მოსული ჩქარი, მქუხარი
და ბულბულივით ვარდის არშიყი
თაფლის მშობელი დედა ფუტკარი
ან ვინ დააშრო ჭაობი ქუში
და დაიურვა ქაოსის ძალა;
ან ვინ აანთო შვინდები გუშინ
და ლორთქო ქალად ააფართქალა.
ვინ გადააგდო რიონი ბხელი
და ოსტატები აღზარდა ბარად
ვთქვათ იმ მარჯვენის საგალობელი
და ვადღეგრძელოთ მარად და მარად.
მაშ ჭიქასავით აავსეთ გული,
ხმა დაიწმინდეთ ბიჭებო ნელა,
და აჟღარუნდეს ფიქვის ჩონგური
და შეწყობილი მეგრული ჩელა.
თქვენი ბავშვების სიმრთელე ვნახე
თქვენს თმაში სიბრძნის ჭაღარა წრფელი
ხელზე გაწრთვნილი მიმინო მკვახე
კაპუეტის და ლითონის ფერი.
ვიხილე თქვენი დოვლათი უხვი,
და აწეული ოჯახის ჭერი.
თქვენ თვალში, წარმტაც საღამოს შუქი
მხოლოდ ბელადის ღიმილის ფერი.
ფეხზე ამდგარა მთელი სოფელი
და თავმჯდომარეც კიაფებს ბარად;
ვთქვათ ჩვენ სამშობლოს საგალობელი
და ვადღეგრძელოთ მარად და მარად.

სანიმუშოდ ჩავატაროთ დიდი პროფკავშირული საღამო

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილებით 17 სექტემბერს კულტურისა და დასვენების პარკში ეწყობა დიდი პროფკავშირული საღამო.

პროფესიულ ორგანიზაციებს დიდი მიღწევები აქვთ მხატვრული და თვითშემოქმედებითი მუშაობის დარგში. ისინი უშუალოდ ხელმძღვანელობენ მუშათა მომღერალი გუნდების, საჭადრაკო, სამუსიკო, ფიზკულტურული წრეების მუშაობას. მუშები სწავლობენ და ეუფლებიან ხალხურ შემოქმედებას და ამით აუმჯობესებენ ფართო მასების კულტურულ მომსახურებას.

სწორედ ამ მიღწევათა დემონსტრაციის მიზნით იმართება დიდი პროფკავშირული საღამო. მუშათა თვითმოქმედების ჩვენებამ კიდევ უფრო უნდა გაამახვილოს ყურადღება პროფესიული კავშირების მუშაობისადმი, გააუმჯობესოს პროფკავშირების დახმარება მხატვრული და მუშათა თვითმოქმედი წრეებისადმი.

ამ საქმეში პროფკავშირებს დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ფაბრიკა-ქარხნებმა სასწრაფოდ უნდა მოამზადონ საუკეთესო სტახანოველთა სურათები და გამოჰფინონ ისინი სტახანოველთა ხეივანში. რადიოკომიტეტიც უნდა მოემზადოს ამ დღისათვის და მოახდინოს შესრულებული ნომრების ტრანსლაცია მთელ საქართველოში.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს დავალებული აქვს უზრუნველჰყოს საუკეთესო ფიზკულტურელთა პარადის მოწყობა და სხვადასხვა სახის გასართობების ჩვენება.

სახკინმრეწვმა მთელი საღამო უნდა გადაიღოს მოკლემეტრაჟიან კინოლენტზე.

საღამოზე მოელიან დაახლოვებით 50-60 ათას კაცს.

საღამოს მომწყობმა კომისიამ უნდა უზრუნველჰყოს ოპერატიული ხელმძღვანელობა საღამოს ყოველმხრივ მომზადებულად ჩატარებისათვის.

ვ. ძ.

პ. ცინცაძე

რუსთაველის დროის ფილოსოფიური აზროვნება და „ვეფხის ტყაოსანი"

ფილოსოფიური აზროვნებისა და ფილოსოფიური სისტემების წარმოშობა, განვითარება და გავრცელება მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების განვითარება-აღორძინებასთან.

პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად რა სიმაღლეზე იდგა ქართველი ხალხი XI-XII საუკუნეებში ამას ნათლად მოწმობს მისი დაინტერესება ფილოსოფიური საკითხებითა და სისტემებით.

ქრისტიანულ-რელიგიური თვალსაზრისის უგულებელყოფა ჩვენში XI-XII საუკ. და ფილოსოფიური სისტემების გავრცელება აიხსნება ფილოსოფიური აზროვნების შინაგანი მოთხოვნილებით.

აღსანიშნავია, რომ ეს ხდება ჩვენში მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოში ქრისტიანულ-რელიგიური სქოლასტიკა მკაცრ მარწუხებში ამწყვდევდა არა მარტო ფილოსოფიურს, არამედ ყოველგვარ თავისუფალ კრიტიკულ აზროვნებას, სდევნიდა და ებრძოდა მას. იმხანად ფილოსოფიური აზროვნება დევნილი და მივიწყებული იყო იმ ქვეყნებშიაც კი, რომლებიც მის აკვნად ითვლებოდნენ.

ამ დროს საქართველო ფილოსოფიური აზროვნების აღორძინების ოაზისს წარმოადგენს, რომელიც არამც თუ ეუფლება მაღალ ფილოსოფიურ აზროვნებას და თავშესაფარს აძლევს მას, არამედ კიდეც ეწაფება და ანვითარებს მას, როგორც ღირსეული მემკვიდრე.

ჩვენს ლიტერატურას საერო აზროვნებისადმი მიდრეკილება უკვე X საუკუნის ნაწარმოებებში ემჩნევა. მაგ., „სიბრძნე ბალავარისაში", რომელიც დიდად გავრცელებული იყო ჩვენში, კრიტიკული და რელიგიური აზროვნება რთულ ალეგორიულ-მხატვრულ ფორმაშია მოცემული.

ამ ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირები არიან: აბენეს მეფე ბალავარი და მეფის შვილი იოდასაფი. ერთგან ბალავარი იოდასაფს ეუბნება: „ეს წუთისოფელი ჰგავს იმ კაცსა, რომელსაც მოსდევდა გაცოფებული სპილო; სპილომ მოამწყვდია ერთს საშინელ ტბასთან, მაგრამ გაქცეულმა კაცმა იმ ადგილს ჰპოვა მსხმოიარე ხე და საჩქაროდ ავიდა ზედ, იმ წამსვე გამოჩნდა ორი თაგვი: თეთრი და შავი". — ბალავარი იოდასაფს შემდეგ ასე უხსნის: „სპილო ნიშნავს სიკვდილს, რომელიც ყოველ კაცს ემუქრება და მისდევს მოსაკლავად, „ხე" ნიშნავს წუთისოფელს და მის ცხოვრებას, თეთრი და შავი თაგვი — დღესა და ღამეს, „ხილი" ოქრო-ვერცხლს ანუ სიმდიდრეს და სხვ.

„სიბრძნე ბალავარისა" მკვლევართა აზრით, X საუკუნეს ეკუთვნის, მაგრამ ორიგინალური ნაწარმოებია იგი თუ ნათარგმნი, ეს ჯერჯერობით არ არის გამორკვეული. „სიბრძნე ბალავარისაში" ფილოსოფიური აზროვნების ჩანასახი უცილოდ მოჩანს, რაც ამტკიცებს იმას, რომ ქართული აზროვნება X საუკუნეშიც სავსებით ვერ თავსდებოდა რელიგიურ ფარგლებში.

ასეთივე აზროვნება მოსჩანს X საუკუნის ლიტერატურულ ძეგლში „გრიგოლ ხანძთელში". ამ ფაქტს აკად. ნ. მარი განცვიფრებაში მოჰყავს. ყოველივე ეს იმას ამტკიცებს, რომ უკვე X საუკ. ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება შინაგანად ისე განვითარებულია, რომ ქრისტიანული რელიგიურ-დოგმატური შეხედულებანი აღარ აკმაყოფილებს.

XI-XII საუკ. ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების დიდად განვითარებას მოწმობს ისიც, რომ იყალთოსა და გელათის სამეცნიერო აკადემიებში ასწავლიან, არა მარტო თეოლოგიას, არამედ ფილოსოფიურ დისციპლინებსაც. ამრიგად, იგი არა მარტო სასულიერო სასწავლებლის ხასიათს ატარებს, არამედ საერო ფილოსოფიურსაც. აქედან სჩანს, მაშინდელ საზოგადოებაში რა დიდი უნდა ყოფილიყო ფილოსოფიური აზროვნების შინაგანი მოთხოვნილება, თუ კლერიკალური ფენები იძულებული იყვნენ წასულიყვნენ ასეთ დათმობაზე. იმ ხანად საქართველოში დიდად გავრცელებული იყო ნათარგმნი ფილოსოფიური შრომები — ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა", პროკლე დიადოხოსის „სალხინებელი" და ჩვენი უკვდავი პოეტების ორიგინალური პოეტური ძეგლები. ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა" დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი იყო საერო ფილოსოფიურ ლიტერატურაში. მასში ძირითადად დაპირისპირებული არიან სტოელები და ნეოპლატონიკოსები. ნემესიოს ემესელი სულის საკითხში გარკვეულად პლატონსა და ნეოპლატონიკოსებთან დგას, ედავება მატერიალისტებს და სწერს: „რამეთუ დიმოკრიტოს უკუე და ეპიკუროს და ყოველთა სტოელთა ფილოსოფოსთა, შეზავებულად, სხეულად სული აღმოთქუავს"... („ბუნებისათვის კაცისა" — გამოცემა ს. გორგაძის, გვ. 23). ამ საკითხს ნემესიოს ემესელი კიდევ უფრო აღრმავებს და მოჰყავს სტოელთა ფილოსოფოსები და ამბობს: „არამედ, ვინაითგან კლეანთის სტოელისა და ხურისიპოსნი მოიღებიან სიტყუანი, რომელნი — მე არა ადვილ შეურაცხის — საყოფელნი ვინაივე დაიდებოდედ და ამათნიცა დასახსნელნი, ვითარ იგი დაჰხსნეს პლატონურთა ფილოსოფოსთა"... (გვ. 28) ნემესიოს ემესელი შემდეგ უფრო მკვეთრად ედავება ნეოპლატონიკოსთა პოზიციებიდან სტოელებს და სწერს: „ხოლო ხურისიპოს (სტოელი ფილოსოფოსი) იტყვის: „სიკვდილი არს განყოფაი სულისა სხეულთაგან; ხოლო არარაი უსხეულოი სხეულთაგან განეყოფვის, რამეთუ არც რაი უკუ ზედშეხების და განეყოფვის სხეულთა, — არა ვიდრე — მე უსხეულოა სული"... (გვ. 30). ნემესიოს ემესელი, როგორც პლატონისა და ნეოპლატონიკოსთა თვალსაზრისის დამცველი, ებრძვის სტოელებს და შეუძლებლად მიაჩნია სულის სხეულისაგან განყოფა. მისი ნეოპლატონიკურ-ქრისტიანული გაგებით, სული უსხეულოა და მისი სხეულისაგან განყოფა შეუძლებელია, რუსთაველი კი „ვეფხის-ტყაოსანში" სიტყვასიტყვით იღებს სტოელთა დებულებას და ტარიელის პირით ამბობს:

„ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა". (აბულაძის მე-26 გამოცემა).

რუსთაველის ეპოქაში ქართული კულტურა იმდენად მაღალ საფეხურზე დგას, რომ მიისწრაფის მშობლიურ ენაზე სთარგმნოს და შექმნას ფილოსოფიური ლიტერატურა. პეტრიწონელი თუ ბერძნულიდან ქართულად მშვენიერი ენით და მოხდენილი ტერმინებით სთარგმნის ფილოსოფიურ ლიტერატურას, ცნობილი ექვთიმე ქართულიდან ბერძნულად სთარგმნის „სიბრძნე ბალავარისას" და შეაქვს ცნობილი ბერძნის — არისტიდეს დაკარგული თხზულების ნაწყვეტი, რითაც მან დაკარგვას გადაურჩინა ბერძნებს ამ ძეგლის ნაწილი.

იმ დროინდელ საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების მძლავრი განვითარება უდიდეს გავლენას ახდენდა XI-XII ს. პოეზიაზე. — ამ მოვლენის გამოხატულებას წარმოადგენს შავთელის „აბდულ-მესია", ჩახრუხაძის „თამარიანი" და რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი". „აბდულმესია" მდიდარ მასალას იძლევა მაშინდელი დროის გავრცელებული ფილოსოფიური სისტემებისა და ფილოსოფოსთა სახელების აღსადგენად. შავთელი მიმართავს არა ღმერთს, წმინდანებსა და მოციქულებს, არამედ ამბობს: „შემოკრბით ბრძენნო, ათინელთ ძენო"... ასევე იქცევა ჩახრუხაძე „თამარიანში": „მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო".

შავთელი ფილოსოფოსთა შორის ყველაზე უფრო ხშირად სტოელ ფილოსოფოს ზენონს იხსენიებს. სტოელებს ძველად ლოგიკის შემქმნელად სთვლიდნენ. შავთელი სწერს: „ზირაქჴს კრონოსით, ზინონს ენოსით სწავლა დაებმის: ბრგვენილჴყოფს ენითა"... (Н. Марр—Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии IV.) და შემდეგ ზენონს ფილოსოფოსთა მოგვად აცხადებს და ამბობს: „ზინონ ზენანი, მოგვეთა ზენანი მეუფედ გჰმობენ პერიპატოსა". (53-4 გვ. ლვ.) იგი ზენონს საბოლოოდ ასე ახასიათებს: „სიტყვის მჟებლობა, ძნელ საგებლობა ზინონისაგან შემოღებულ არს" და სხვა.

შავთელი სტოელ ფილოსოფოს ზენონს სამჯერ იხსენიებს, ნეოპლატონიკოს პროკლეს ერთხელ და ისიც ასე უბრალოდ: „უთქვამს ებულთა მეძიებლთა შენთვის პროკლე და დიადოხოსა"... (53-2 გვ. ლვ). შავთელს აქ პროკლეს შრომა „სალხინებელი" აქვს მხედველობაში, რომელიც ქართულად იყო ნათარგმნი.,

მეორე პოეტი ჩახრუხაძეც უმთავრესად ფილოსოფებს იხსენიებს და არა წმინდანებსა და მოციქულებს. სოკრატეს ჩახრუხაძე ასე იხსენიებს: „სოკრატ სიბრძნითა, სარამარ გრძნითა". ყველა ფილოსოფოსებზე უფრო ხშირად ჩახრუხაძე ჰომიროსისა და პლატონს იხსენიებს, რაც ამტკიცებს, რომ იგი ზედმიწევნით იცნობდა მათ ნაწარმოებებს. სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ზენონის, პროკლესა და სხვ. ფილოსოფოსთა ასე ხშირად უკომენტარიოდ ხსენება ჩვენს მწერლობასა და პოეზიაში აშკარად მოწმობს, რომ ამ ფილოსოფოსებს სათანადოდ იცნობდნენ, რომ მათ თავიანთი მიმდევრები, გამავრცელებლები, პოპულარიზატორები და ინტერპრეტატორები ჰყავდათ. მათი გავლენა, რასაც ფართოდ განიცდიდა ჩვენი იმ ხანის საზოგადოებრივი აზროვნება და ცნობიერება, რელიგიურ კლერიკალურ აზროვნებასა და მწიგნობრობას მეტოქეობას უწევდა. კლერიკალური ფენები ხშირად ადმინისტრატიულად ებრძოდნენ და წყევლაკრულვას უძღვნიდნენ ამ ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენლებს. გარდა ფილოსოფიური სისტემებისა, მაშინ ფართოდ იცნობდნენ ჰომიროსის ილიადას, რის შესახებ აკად. ნ. მარმა პირველმა მიუთითა ჩახრუხაძის მიერ ჰომიროსის ნაწარმოების ცოდნაზე და მის გამოყენებაზე.

ქართული პოეზიის XI-XII საუკ. ფილოსოფიური ტრადიცია უაღრესად განვითარებული და უმაღლეს მწვერვალამდეა აყვანილი. „ვეფხისტყაოსანი" არა მარტო უდიდესი მხატვრული ნაწარმოებია, არამედ ფილოსოფიური აზროვნების შემცველი ნაწარმოები. „ვეფხის-ტყაოსანში" უკვე არა მარტო ფილოსოფოსთა სახელებია მოხსენებული, არამედ გატარებულია სავსებით მთლიანი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. რუსთაველი სავსებით დაუფლებულია ფილოსოფიურ აზროვნებას, რომლის საშუალებით შლის და სჭედს თავის უკვდავ მხატვრულ სახეებსა და აზრებს.

რუსთაველის დიადი ფილოსოფიური პოეზიის სულიერი მამამთავარი ჩვენს ლიტერატურაში შავთელია, რომელზედაც აკად. ნ. მარმა მიუთითა. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავს მთელი რიგი პარალელები „აბდულ-მესიიდან". მაგალითად, „ე სამართალი ხეს შეიქმს ხმელსა წყალმომდინარედ"... და სხვ. („აბდულ მესია"). „ვეფხის-ტყაოსანში" კი არის: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად" „აბდულ-მესიაში": „წმინდად აქვს სული დასთა დასული სამყაროი, ნათლად არა თუ ღამედ". რუსთაველს კი აქვს: „სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული"..

აქ რუსთაველისა და შავთელის აზრების მხატვრული სახეების მსგავსება კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ რუსთაველი მას მსოფლმხედველობაში ენათესავება.

რუსთაველი გარკვეულად დგას მაღალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საფუძველზე და რელიგიურ და ნეოპლატონისტურ-მისტიკური მსოფლმხედველობის მიმართ არავითარ დათმობაზე არ მიდის.

„ვეფხის-ტყაოსანში" ერთხელაც არ არის ნახსენები ნეოპლატონისტურ-ქრისტიანული სამება და ბიბლიური არაკები, როგორც ამას შავთელისა და ჩახრუხაძის შემოქმედებაში ვხედავთ. შავთელი ასე იწყებს „აბდულ-მესიას": „სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს სწავლა შენდა შემკობად"... ჩახრუხაძეც ასევე იქცევა: „სიბრძნით ჰქმნა ღმერთმან, სამებით — ერთმან ცა და ქვეყანა არს მეცნიერი"... ან კიდევ „მაშინ მან ერთმან უკლებმან ღმერთმან ერთი ბუნება ქმნა სამად თებად". რუსთაველი მტკიცედ სდგას ფილოსოფიური მონიზმის საფუძველზე და ამბობს: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისაო"... ამრიგად რუსთაველს ყოველივე ერთი არსისა და საწყისიდან მიაჩნია შექმნილად და არა სამებას სახავს მთელი არსის საფუძვლად და მას ეთაყვანება.

რუსთაველს მტკიცედ გაჰყავს გარკვეული ფილოსოფიური თვალსაზრისი, როგორც დიდ მოაზროვნეს და პოეტს.

რუსთაველის ფილოსოფიურ მსოფლგაგებაში და მის მდიდარ მხატვრულ სახეებში მოცემულია რეალური ცხოვრება, მისი სავსეობა, მისთვის ბრძოლის აუცილებლობა. „ვეფხის-ტყაოსანში" არ არის ქვეყნისა და ცხოვრების უარყოფის არც მისტიკურ-ფილოსოფიური და არც რელიგიური აპოლოგია.

„ვეფხის-ტყაოსანის" მხატვრულ-ფილოსოფიური მნიშვნელობა და სიდიადე განუზომელია, რითაც ის მძლავრად აჯადოვებს და იქცევს კაცობრიობის ყურადღებას.

„ვეფხის-ტყაოსანი" პირმშო შვილი და გვირგვინია ჩვენში XI-XII საუკუნეებში განვითარებული ფილოსოფიური აზროვნებისა და მაღალმხატვრული პოეტური ოსტატობისა, სადაც ერთმანეთთან მძლავრად შერწყმულია ფილოსოფიური სიბრძნე და დიადი მხატვრული ოსტატობა.

◆

ერთა ლიგის პლენუმი

ჟენევა, 13 სექტემბერი (საქდესი) დღეს დილით 11 საათზე გაიხსნა ერთა ლიგის მე-18 პლენუმი. დროებით თავმჯდომარეობს ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარე, ესპანეთის დელეგატი, ნეგრინი. ესწრებიან 50 ქვეყნის დელეგატები. სსრ კავშირის დელეგაციაში შედიან: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი, სრულუფლებიანი წარმომადგენლები პარიზსა და რომში ამხ. სურიცი და შტეინი (დელეგატები), სრულუფლებიანი წარმომადგენელი სტოკჰოლმში—ამხ. კოლონტაი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალური მდივანი ამხ. გერშელმანი (დელეგატთა მოადგილენი).

სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ ნეგრინი გამოვიდა სიტყვით, რომელშიც აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს სახელმწიფოთა ურთიერთობაში გახშირდა საერთაშორისო ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებს უკვე აღარ აქვთ წინანდელი ფასი და ძალა. ხელმომწერნი უკვე აღარ აკისრებენ ხელმომწერთ ვალდებულებებს ან აკისრებენ მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელთაც თვითონ ხელმომწერნი აწესებენ. ეს შემდეგშიც გაგრძელდება, განაცხადა ნეგრინმა, თუ ჩვენ არ გამოვნახავთ საშუალებას ბოლო მოვუღოთ მზარდ დაუსჯელობას, რითაც არღვევენ საერთაშორისო სამართლისა და ერთა ლიგის წესდების პრინციპებს. მაგრამ ამის მიღწევა არ შეიძლება ამა თუ იმ მუხლის ან პარაგრაფის შეცვლით. სხვადასხვა მეთოდის განხილვისას, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მიღწეულ იქნას ერთა ლიგის წესდების უფრო წარმატებით განხორციელება, სთქვა ნეგრინმა, არ უნდა დავივიწყოთ იმ ძალების არსებობა, რომლებიც ისწრაფვიან მოსპონ ლიგა და ყველანი, ვინც მას უჭერს მხარს. საჭიროა ფხიზლად ვიყოთ და გავუფრთხილდეთ იმას, რომ ლიგის მტრებმა არ გამოიყენონ იმათი მერყეობა და სიძნელენი, ვინც მშვიდობიანობის განმტკიცებისა და ორგანიზაციისაკენ მიისწრაფვის.

შესვენების შემდეგ სამანდატო კომისიამ გამოაქვეყნა თავისი პირველი მოხსენება დელეგაციების რწმუნებათა შესახებ. წინააღმდეგ ზოგიერთი წრის იმედებისა, არც სამანდატო კომისიის სხდომაზე, არც პლენუმზე ჯერ არავის შეუტანია წინადადება ჩაითვალოს, რომ აბისინია „აღარ არსებობს" ან გამოსულია ერთა ლიგიდან, თავისი დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო (აბისინია, როგორც ვიცით, არ გაუგზავნია დელეგაცია ლიგის პლენუმზე). ასეთი წინადადების შეტანის განზრახვას უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში რიგრიგობით მიაწერდნენ პოლონელებს, უნგრელებსა და ბულგარელებს. მაგრამ პოლონეთის დელეგაცია უკვე გუშინ საღამოს ენერგიულად უარჰყოფდა ამ ცნობებს.

პლენუმმა აირჩია კომიტეტი, რომელიც მუშაობს იმ ძველ წევრთა ნაცვლად ერთა ლიგის საბჭოს წევრთა კანდიდატების საკითხზე, რომელთაც რწმუნებათა ვადა გაუვიდათ. სსრ კავშირიდან კომიტეტში შევიდა ამხ. შტეინი. კომიტეტის არჩევის შემდეგ დაიხურა ერთა ლიგის პლენუმის პირველი სხდომა. კომიტეტის შემდგომი სხდომა შესდგება დღეს, 17 საათზე.

ჩინეთის ნოტა ერთა ლიგას

ჟენევა, 13 სექტემბერი (საქდესი). ჩინეთის დელეგატმა ველინგტონ კუმ ერთა ლიგის გენერალურ მდივანს ავენოლს გადასცა ნოტა, რომელშიც ოფიციალურად იტყობინება იაპონიის თავდასხმას ჩინეთზე. იაპონიის შემოჭრა, რომელიც გრძელდება და რომელშიც მონაწილეობას იღებენ იაპონიის არმია, ფლოტი და ავიაცია, ნათქვამია ნოტაში, წარმოადგენს აგრესიას ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ამ გარემოებათა გამო, ჩინეთის მთავრობა მოითხოვს, რათა ერთა ლიგის საბჭომ მიიღოს აუცილებელი ზომები ერთა ლიგის წესდების 10, 11 და 17 მუხლების გამოსაყენებლად.

ამავე დროს ავენოლს გადაეცა ჩინეთის მთავრობის მემორანდუმი, რომელშიც იგი აღნიშნავს იაპონიის მიერ საზღვაო ბლოკადის დაწესებას, წითელი ჯვრის რაზმებზე თავდასხმას, სამოქალაქო მოსახლეობის ბარბაროსულად გაჟლეტას ჩინეთში და მის კულტურულ ღირებულებათა უაზრო მოსპობას.

„იზვესტიის" კომენტარიები

საქ. დეპეშათა სააგენტოს მიერ ჟენევიდან მიღებულ დეპეშაზე ჩინეთის მიმართვის შესახებ ერთა ლიგისადმი

ერთა ლიგის წესდების მე-10 მუხლში ლაპარაკია ერთა ლიგის წევრთა მოვალეობაზე პატივსცენ ერთა ლიგის ყველა წევრის ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და იმაზე, რომ თავდასხმის შემთხვევაში საბჭო მიუთითებს ზომებს ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

მე-11 მუხლის თანახმად, ყოველი ომი ან ომის მუქარა, ეხება იგი პირდაპირ თუ არ ეხება ლიგის რომელიმე წევრს, მთლიანად აინტერესებს ლიგას, და უკანასკნელი მოვალეა მიიღოს ისეთი ზომები, რომელთაც შეუძლიათ ნამდვილად დაიცვან მშვიდობიანობა; ლიგის ყოველი წევრის მოთხოვნით გენერალურმა მდივანმა დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს საბჭო.

მე-17 მუხლში ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დავა არსებობს ორ სახელმწიფოს შორის, რომელთაგან მხოლოდ ერთი არის ლიგის წევრი, ან რომელთაგან არცერთი არ შედის ლიგაში, ერთა ლიგა მოუწოდებს სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან მისი წევრები, დაემორჩილონ იმ ვალდებულებებს, რომლებიც ეკისრებათ ლიგის წევრებს. ამ მოწოდების გაგზავნის შემდეგ ერთა ლიგის საბჭო შეუდგება დავის გარემოებათა გამოძიებას და იძლევა ყველაზე ქმედ ზომებს მის გადასაჭრელად.

ჩინეთის არმიის ბრძოლისუნარიანობა

ტოკიო, 13 სექტემბერი (საქდესი). ოფიციალური ცნობები ცალკეული ბრძოლების შესახებ, ჩვეულებრივ ასეთი სტილით არის შედგენილი: „ჩინელთა ჯარები მოგერიებულ იქნენ და უკან იხევენ უდიდესი დანაკლისით, ჩვენი დანაკლისი უმნიშვნელოა". მაგრამ, ბოლო დროს პრესაში სულ სხვანაირი მასალები ქვეყნდება. მაგალითად, გაზეთი „ციუგაი სიოგაიო" მასალებში შანხაის ბრძოლების შესახებ აღნიშნავდა, რომ ახლა ჩინეთის ჯარები ყოველმხრივ უფრო მაღლა დგანან მე-19 არმიის ჯარებზე, რომელიც 1932 წელს შანხაის იცავდა. ლეგენდა, თითქოს ჩინელი ჯარისკაცები ღამით არ ომობენ, გაზეთის სიტყვით, სამუდამოდ გაქარწყლებულია. პირიქით, გამორკვეულია, რომ ჩინელთა ჯარები დიდი სიხალისითა და მოხერხებით აწარმოებენ იერიშებს ღამით.

გაზეთი „ასახი", ლაპარაკობს რა შანხაიში გამართული ბრძოლების გამოცდილებაზე, ხაზს უსვამს ჩინელთა ჯარების მაღალ ოსტატობას ომის თანამედროვე საშუალებათა, აგრეთვე ფრონტის ტოპოგრაფიულ თავისებურებათა გამოყენებაში.

გაზეთ „ოსაკა ძი-ძიში" საზღვაო ოფიცერი აღნიშნავს, რომ როცა იაპონელთა ჯარები რომელიმე პუნქტს დაიკავებენ, ზურგში რჩება ჩინელთა რამდენიმე სნაიპერი, რომელნიც მოსახლეობასთან ერთად აწყობენ პარტიზანულ ბრძოლას.

გაზეთი „ნიცი ნიციში" იაპონიის საზღვაო ავიაციის ერთერთი ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ იაპონელთა საზღვაო ავიაციამ ჩინეთის ავიაციასთან პირველი შეხვედრების დროს მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა".

პარტიზანული ომი ჩრდილო-ჩინეთში

ტოკიო, 12 სექტემბერი (საქდესი). სულ უფროდაუფრო გახშირდა ცნობები პარტიზანულ მოქმედებაზე. ჩრდილო-ჩინეთის იაპონელთა ჯარების ზურგში დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ 11 სექტემბერს ტუნძიაუს რაიონში (მდინარე უნტინის ნაპირად) იაპონიის ჯარს თავს დაესხა ჩინელთა რაზმი, რომელიც 80 მეომრისაგან შესდგებოდა. მეორე ცნობაში ნათქვამია, რომ შაიჰაკუს რაიონში (ბეიპინის ჩრდილო-დასავლეთით) მოქმედებენ ჩინელთა პარტიზანული ნაწილები.

ხმელთა-შუა ზღვის კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს ნიონში დადებულ შეთანხმებას

ჟენევა, 14 სექტემბერი (საქდესი). დღეს ხმელთაშუა ზღვის კონფერენციის ყველა მონაწილემ ხელი მოაწერა ნიონში დადებულ შეთანხმებას. კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე დეკლარაციით გამოვიდა ამხ. ლიტვინოვი.

თვითმფრინავ „ნ-209"-ის საძებნელად

მოსკოვი, 14 სექტემბერი (საქდესი). გუშინ საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. შეველიოვის ექსპედიციის თვითმფრინავები რაინერის კუნძულზე იყვნენ. გუმბათები რუდოლფის კუნძულზე დაფარული იყო ღრუბლებითა და ნისლით, ექიპაჟმა რაინერის კუნძულზე ბანაკი გაშალა. ექსპედიციის მონაწილენი კარვებში ცხოვრობენ. თუ რუდოლფის კუნძულზე ოდნავ გამოიდარა თვითმფრინავები „ნ-170", „ნ-171" და „ნ-172" გაფრინდებიან რუდოლფის კუნძულის ავიაბაზაზე.

○

ფერბენქსი, 13 სექტემბერი (საქდესი) („პრავდის" სპეც. კორ). ჩრდილოეთში კვლავ უცვლელია არასაფრენი ამინდი. ვილკინსის მარშრუტზე არის ციკლონი, რომელიც შეუძლებელს ხდის მის გაფრენას მე-87 პარალელისაკენ.

ალიასკის ჩრდილო ნაპირებთან შტორმი მძვინვარებს. ორი დღეა „კრასინი" ვერ ახერხებს გადაგზავნოს საწვავი მასალა ბაროუს კონცხზე.

მფრინავ გრაციანსკის, რომელიც უელენში იმყოფება, კვლავ ამინდის უნუგეშო პროგნოზი გადასცეს. მის მთელ გზაზე უელენიდან ბაროუმდე მთლიანი ღრუბლიანობაა და ალაგ-ალაგ თოვლიც მოდის.

ალიასკის ნაპირები ხშირი ნისლით არის დაფარული.

უკანასკნელი 4 წლის დაკვირვების მიხედვით, ზღვები და ზღვის ყურეები ბაროუს კონცხის რაიონში იყინება 25 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, რის შემდეგაც ჰიდროთვითმფრინავთა მუშაობა აქ შეუძლებელია. მიიღო რა ეს ცნობა, გრაციანსკიმ უპასუხა რომ ზღვის ყურეთა გაყინვის შემდეგ იფრენს თვლებიანი თვითმფრინავით.

ლ. ხვატი.

სესხის მოგების მორიგი ტირაჟები

მოსკოვი, 13 სექტემბერი (საქდესი). სსრ კავშირის ფინსახკომმა დაადგინა, მეორე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვება) სახელმწიფო საშინაო სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟები ჩატარდეს შემდეგ პუნქტებში: მეოთხე ტირაჟი—1937 წლის 25 ოქტომბერს ყაზახეთის სსრ დედაქალაქ—ალმა-ატაში; მეხუთე ტირაჟი—1937 წლის 25 დეკემბერს ვოროშილოვგრადში (დონეცის ოლქი).

მეოთხე ტირაჟში წაუგებელ გამოშვების 200 თანრიგზე გათამაშებული იქნება იმდენივე მოგება, რამდენიც თვითეულ პირველ სამ ტირაჟში, ე. ი. 1 მილიონი მოგება 164,920 ათასი მანეთის რაოდენობით.

სესხის პირობებით, დაწყებული მეხუთე ტირაჟიდან მოგებათა რაოდენობა გადიდებული იქნება. თვითეულ შემდგომ ოთხ ტირაჟში (5-8 ტირაჟები) წაუგებელ გამოშვების 200 თანრიგზე გათამაშებული იქნება 1 მილიონი 60 ათასი მოგება 173.920 ათასი მანეთის რაოდენობით.

ამინდი პოლუსზე

13 სექტემბერს 13 საათზე მოდრეიფე სადგური „ჩრდილოეთი პოლუსი" იყო ჩრდილოეთის განედის 86 გრადუსსა და 09 წუთზე და აღმოსავლეთის გრძედის 1 გრადუსზე.

პოლუსზე არის ნაწყვეტნაწყვეტი ღრუბლიანობა. ხილვადობა 20 კილომეტრი, ჰქრის სამხრეთ-დასავლეთის ერთბალიანი ქარი. ტემპერატურა უდრის—10 გრადუსს.

○

რუდოლფის კუნძულზე მთლიანი ღრუბლიანობაა ორასი მეტრის სიმაღლისა. ხილვადობა უდრის 50 კილომეტრს. ჰქრის ჩრდილო-აღმოსავლეთის 4 ბალიანი ქარი. ტემპერატურა—მინუს 9 გრადუსი.

გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის ყოფილი პრეზიდენტი მასარიკი

პრაღა, 14 სექტემბერი (საქდესი). დღეს დილის 9 საათზე და 29 წუთზე თავის რეზიდენციაში — ლანის კოშკში — გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ტომაშ მასარიკი.

○

ტომაშ მასარიკი დაიბადა 1850 წლის 7 მარტს. მსოფლიო ომის პერიოდში — 1914-18 წლებში მასარიკი, იყო რა ჩეხი ხალხის ნაციონალური აღორძინების მომხრე, ბენეშთან და სხვა თავის მომხრეთა ჯგუფთან ერთად ეწეოდა პროპაგანდას ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად. 1918 წლის 14 თებერვალს მასარიკი არჩეული იქნა ჩეხოსლოვაკიის პირველ პრეზიდენტად. 1920,1927 და 1934 წლებში მასარიკი კვლავ იქნა არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტად. 1935 წლის 14 დეკემბერს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მასარიკი გადადგა, ხოლო იმავე წლის 18 დეკემბერს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ბენეში, რომელიც მანამდე საგარეო საქმეთა მინისტრად იყო.

თავისი პოლიტიკური შეხედულებებით მასარიკი ახლოს იდგა ჩეხ სოციალისტთა პარტიასთან, რომლის ერთერთ გამოჩენილ მოღვაწეს წარმოადგენს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტი ბენეში.

◇

არ დადასტურდა

„კომუნისტის" ა. წ. 26 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სათაურით: „გოცირიძის ხულიგნობა", რომელიც შეეხებოდა რესპ. მილიციის სამმართველოს სისხლის სამძებრო განყოფილების რწმუნებულს შ. გ. გოცირიძეს.

კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები გოცირიძის ხულიგნობისა არ დადასტურდა.

12 ივლისს, თბილისში გაიმართა მოტოციკლისტთა მარულა ქალაქის პირველობაზე.
სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ერთეულ მოტოციკლისტთა მარულაში გამარჯვებული კ. ბერუჩევი, მოტოციკლეტის ტრამპლინიდან ხტომის მომენტი (მოტოციკლისტი იაკობიძე), საუკეთესო მარბენალი კოჩინევი.

ფოტო—მ. ლინგიხა.

ზრუნვა მატერიალური კულტურის ძეგლებზე

ქვაბული ქალაქის ვარძიისა და ასპინძის რაიონის ძველ სიმაგრეთა რესტავრაცია

ხელოვნების საქმეთა რესპუბლიკური სამმართველოს მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებას მიეცა მთელი რიგი დავალებანი ასპინძის რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლთა აღდგენისა და შეკეთების დარგში, განსაკუთრებით იმ ძეგლებისა, რომელნიც დაკავშირებული არიან რუსთაველის ეპოქასთან.

მიმდინარე და 1938 წელს სამუშაო გეგმაში შეტანილია სიძველეთა მთელი რიგი ძეგლები, რომელთაც აქვთ დიდი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა.

ცნობილ ქვაბულ ქალაქ ვარძიაში, რომელიც ააგო თამარის მამამ გიორგი III, რესტავრირებული იქნება ქვაბული ტაძარი და ნაწილობრივ გამოჩნდება XII საუკუნის ფრესკები.

განზრახულია დაამთავრონ მტკვრისაკენ ჩასასვლელი გვირაბის უკვე დაწყებული გაწმენდა, აღადგინონ სამრეკლოს კედლები, შეაკეთონ ხელოვნური ნაგებობანი. გაგრძელდება გამოქვაბულების გაწმენდა. ქალაქის 365 ქვაბულიდან უკვე გაწმენდილია 145.

გათვალისწინებულია კიდული ხიდების გაკეთება მტკვარსა და მდინარე თაფარავან ჩაიზე, გზის გაყვანა ხერთვისიდან ვარძიამდე, რომელიც უერთდება თმოგვის ციხეს.

ეს ტურისტებს, მეცნიერ მუშაკებსა და მოსახლეობას გაუადვილებს ქვაბულ ქალაქთან და ციხესთან მისვლას.

საქართველოს ხელოვნებათა მუზეუმი „მეტეხი" შეადგენს მონოგრაფიას ქვაბული ქალაქის ვარძიის შესახებ და დაამზადებს დასურათებული გზის მაჩვენებელს ისტორიულ ადგილებში, სადაც ასპინძის რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლებია.

მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდება აგრეთვე XI საუკუნის თმოგვის ციხეში, რომელსაც თურქები „შაითანყალას" უწოდებდნენ და, რომელიც დგას მიუვალ ციცაბო კლდეზე მტკვრის მარცხენა ნაპირას 200 მეტრის სიმაღლეზე მდინარის დონიდან.

აქ განზრახულია გასწმინდონ ვერტიკალური ჩასავალი, რომელიც ციხიდან მტკვრისაკენ მოდის, გაამაგრონ კედლები და გაიყვანონ ბილიკი ციხისაკენ.

ნაწილობრივ აღადგენენ ხერთვისის XIV საუკუნის ციხესაც, რომელიც სდგას კლდეზე მდინარე მტკვრისა და თაფარავან-ჩაის შესართავთან.

ციხის გალავანი შენახულა ჩვენ დრომდე, აგებულია რიყისა და ნამტვრევი ქვით თვით კლდის დონემდე. ციხეს გასწმენდენ შიგნით; შიდა კედლების ნაწილი, რომლებიც ინგრევა, აღდგენილ იქნება, თვითონ ციხემდე მივა ცხენით სასვლელი ბილიკი. (საქდესი).

ფილმები და კინონარკვევები

საქართველოს სახკინმრეწვის ქრონიკის განყოფილება ემზადება მთელი რიგი საინტერესო ფილმებისა და კინონარკვევების გამოსაშვებად ეკრანზე. მათ შორისაა თავდაცვითი ფილმი ოთხნაწილად „ბრძოლა მაღლობებისათვის". ავტორ-რეჟისორი ა. დახელიანი.

ავტორ-რეჟისორი შ. ჩაგუნავა ამთავრებს მხატვრულ კინონარკვევს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. გარდა ამისა, იგი უკვე შეუდგა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო ნარკვევის გადაღებას.

რეჟისორი ა. დანელიანი ამთავრებს დიო კინონარკვევს ავლაბრის არალეგალური სტამბის შესახებ.

საბოლოო დამუშავების სტადიაშია კინოფილმები — „ნიჭიერი ახალგაზრდობა", „ალკაზარი" და „ბასკები თბილისში".

ავტორი-ოპერატორი კ. ლისიცინი შეუდგა კინონარკვევის მონტაჟს, რომელიც ასახავს სვანი ალპინისტების ასვლას თეთნულდზე.

ამ ფილმებთან და კინონარკვევებთან ერთად ეკრანზე გამოვა კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს" მორიგი ნომრები 2, 3, 4 და 5. (საქდესი).

კომეოლური ქსოვილების მაღაზია

რუსთაველის პროსპექტზე, (რუსთაველის თეატრის გვერდით), იხსნება ახალი დიდი მაღაზია. ამ მაღაზიას ხსნის საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

მაღაზიაში გაიყიდება წმინდა შალის ქსოვილები და მაღალხარისხოვანი კომეოლური საქონელი.

ფეხსაცმლის ახალი მაღაზია

„კოჟობუვსბიტი" (ფეხსაცმლის გამსაღებელი ორგანიზაციაა) თბილისში ხსნის ფეხსაცმლის დიდ სანიმუშო მაღაზიას. მაღაზია მოთავსებული იქნება პლეხანოვის პროსპექტზე იმ შენობაში, სადაც უწინ სატრანსპორტო სავაჭრო ორგანიზაციის მაღაზია-სკოლა იყო მოთავსებული. ახალი მაღაზია უხვად იქნება მომარაგებული ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა ფეხსაცმლით.

სასამართლო

ავტომობილების თვითნებურად გამომყენებელთა პროცესი

მშენებელთა კლუბის დარბაზი დამსწრეებს ვეღარ იტევს. ყველას აინტერესებს საბარგო ავტომანქანების გამოყენების დადგენილი წესის დამრღვევთა საჩვენებელი პროცესი. დამსწრეთა უმრავლესობა შოფერებია.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მიმდინარე წლის 17 აგვისტოს განიხილა საკითხი საბარგო ავტომანქანების არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტების შესახებ და სასტიკად აუკრძალა ყველა ორგანიზაციას და დაწესებულებას, რომელთაც აქვთ ავტოტრანსპორტი, საბარგო ავტომობილების გამოყენება ექსკურსანტების, მგზავრების გადასაყვანად და ისეთი ტვირთის გადასაზიდად, რომელიც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს არ ეკუთვნის.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებიდან 12 დღის შემდეგ ფანერის ქარხნის ყოფილმა დირექტორმა ნიკოლოზ ეგანოვმა საბარგო ავტომობილი გაგზავნა მანგლისში და იქიდან მგზავრები ჩამოიყვანა. ეს პირველი შემთხვევა როდია. ეგანოვი სისტემატიურად არღვევდა ავტომობილების გამოყენების წესებს. ხან თავის პირად საჭიროებისათვის დაჰყავდა და ხანაც თავის ნათესავებსა და მეგობრებს ათხოვებდა.

აი, კიდევ ივანე ჩარაშვილი („ზოოცტრესტის" ადგილკომის ყოფილი თავმჯდომარე), რომელმაც ავტომობილის ყალბი საგზური გამოსწერა და 23 აგვისტოს წალკიდან თავისი ცოლშვილი ჩამოიყვანა.

დანაშაულებრივ დაუდევრობაში პროფსაბჭოს საკურორტო განყოფილების შოფერმა რუბენ არუთინოვმა ყველას გაუსწრო. მას ავტომობილების თვითნებურად გამოყენებისათვის მისჯილი ჰქონდა 3 თვით იძულებითი მუშაობა, მაგრამ ეს დაივიწყა. 29 აგვისტოს გაიტაცა ავტომობილი და 30 აგვისტოს მანგლისიდან 20 მგზავრი ჩამოიყვანა.

„საქმშენის" შოფერმა ნიკოლოზ ღუდუშაურმა სასამართლოს განუცხადა—„ხალტურა" ყველაფერს მირჩევნიაო. მან სახკომსაბჭოს დადგენილების შემდეგ მრავალჯერ გაიტაცა ავტომობილი. 30 აგვისტოს თიანეთიდან 25 მგზავრი ჩამოიყვანა. გარდა ზემოაღნიშნული პირებისა, საბრალდებულო სკამზე ისხდნენ არმენაკ გირდიგიანი („თბილმრეწვაჭრობის" შოფერი) და სიმონ მოსინიანი (ქაღალდის ქარხნის გარაჟის გამგე), რომელნიც სისტემატიურად არღვევდნენ ავტომობილების გამოყენების დადგენილ წესებს.

საქ. რესპუბლიკის პროკურატურამ გამოიძია ავტომობილების თვითნებურად გამომყენებელთა საქმე და იგი განსახილველად სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოს გადასცა. სტალინის რაიონის სასამართლომ კ. პერონიძის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის ბ. გიორგაძის მონაწილეობით განიხილა ზემოაღნიშნულ პირთა საქმე. ნიკოლოზ ეგანოვს მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით საარჩევნო უფლების ჩამორთმევა, ივანე ჩარაშვილს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რუბენ არუთინოვს და ნიკოლოზ ღუდუშაურს სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ თითო წლით საარჩევნო უფლების ჩამორთმევა, არმენაკ გირდიგიანს და სიმონ მოსინიანს მიესაჯათ ორ-ორი წლით და ექვს-ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

კ. გიაძე.

პროკურორმა სპეკულანტები დაჰფარა

ამასწინათ მტაცებლობასა და სპეკულაციასთან მებრძოლმა მილიციის სამმართველოს განყოფილებამ დაამთავრა დიდი სპეკულანტების ს. ს. ნერსესოვას და მისი ქმრის რ. ი. ნერსესოვის საქმის გამოძიება. სპეკულანტები ამოფარებულნი იყვნენ შინამრეწველის პატენტს.

კვლევა-ძიებამ ცხადჰყო, რომ ს. ს. ნერსესოვას 1936 წლამდე ჰქონდა საკუთარი ქუდების სახელოსნო. იანვარში მან ეს სახელოსნო გააუქმა, ხოლო საქონელი კი უნდა გაესაღებინა. საქონლის ნაწილი (7.000 მანეთის ღირებულებისა) მან ჩააბარა „თბილმრეწვაჭრობას", მეტი წილი კი გადამალა სპეკულატიურ ფასებში გაყიდვის მიზნით.

სახელოსნოს ლიკვიდაციის შემდეგ ნერსესოვა ისევ განაგრძობდა ქუდების კერვას უპატენტოდ და მხოლოდ დაჯარიმების შემდეგ, ა. წ. 20 მაისს, აიღო იგი, ისიც ძველი ქუდების შეკეთებაზე. ამ პატენტს ამოფარებულმა ნერსესოვამ კვლავ გაშალა ქუდების დიდი წარმოება. ქუდებს კერძო ბაზარზე ჰყიდდა.

ბინის გაჩხრეკის დროს მას დიდძალი საქონელი აღმოაჩნდა.

ა. წ. მაისის დამლევს ნერსესოვა შეიპყრეს. დიდძალი საქუდე მასალის გასაღების დროს.

ცოლს სპეკულანტურ საქმიანობაში აქტიურ დახმარებას უწევდა ქმარი რ. ი. ნერსესოვი. ცოლ-ქმარი დააპატიმრეს, საქმე გადაეცა კიროვის რაიონის პროკურორს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ნერსესოვთა „საქმიანობაში" ვერ ნახა (!) სპეკულაციის ნიშნები, წაყენებული ბრალდების მუხლი შეუცვალა და ბოროტმოქმედნი გაანთავისუფლა.

მტაცებლობასა და სპეკულაციასთან მებრძოლმა მილიციის სამმართველოს განყოფილებამ პროკურორის ასეთი მოქმედება გააპროტესტა რესპუბლიკის პროკურორის წინაშე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რესპუბლიკის პროკურორი მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

15 სექტემბერს:

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლა ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ. რუსულ და ქართულ ენებზე. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სოციალიზმი და რელიგია. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი იუწყება, რომ 15 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, მე-109 სკოლის შენობაში (თოდრიას ქ. № 21) შესდგება პროპსემინარების მორიგი მეცადინეობა შემდეგ თემაზე:

1. საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის პროპსემინარები—„რსდმ პარტიის შექმნა და პარტიის შიგნით ბოლშევიკთა და მენშევიკთა ფრაქციების გამოჩენა".
2. პოლიტცოდნის სკოლის პროპსემინარები —„კაპიტალიზმისა და სოციალიზმის საწარმოო ძალები 20 წლის განმავლობაში".

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა შესდგება 15 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტში.

○

15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი სპეციალური წრეების ხელმძღვანელთა სემინარის მეცადინეობა.

რაიკომი წინადადებას აძლევს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეების ყველა ხელმძღვანელს დაესწრონ მეცადინეობას.

16 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში პროპაგანდისტთათვის შესდგება პროფ. ბ. ა. შარიას მოხსენება თემაზე: ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომის — „სახელმწიფო და რევოლუცია"—ისტორიული მნიშვნელობა.

შესვლა საშვები ბარათებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ე. ბედია

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ხმოვანი ფილმი **პირველი სიყვარული** დასაწყ. 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ახალი ხმოვანი ფილმი **პეტრე 1-ლი** დასაწყისი საზამთ. 6, საზაფხ. 8-20
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	საზაფხ. შენ. **პეტრე 1-ლი** დასაწყისი 8-50 საზამთ. შენ. **სტალინური მოდგმა** დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	**ანტეკ პოლიცმეისტერი** დასაწყ. 6-30
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	საზაფხ. **გავროში** დასაწყ. 8-30 საზამთ. **მხიარული ახალგაზრდობა** დ. 6 30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	**ფმ. იორდენის დღესასწაული** დასაწყისი 8 საათზე.
ახალი ამბები	ხმოვანი ფილმი **ბრძოლა მწვერვალებისათვის** დასაწყ. 6-30
არხენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი **მაქსიმეს დაბრუნება** დასაწყისი 7 საათზე

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის პოლიგრაფკულტმარაგგასაღების ბალანსი 1937 წლის 1-ლ იანვრისათვის

აქტივი			პასივი		
№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი (ათას მანეთებში).	№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი (ათას მანეთებში).
1	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	2,7	1	საწესდებო ფონდი	672,3
2	მარაგი მასალების, ნედლეულის და სათბობისა	1,9	2	სპეცფონდები	10,5
3	საქონელი მზანაწარმი	272,9	3	რეზერვები	1,8
4	ფულადი საშუალებანი	64,9	4	ანგარიშსწორებანი	40,6
5	ანგარიშსწორებანი	563,8	5	საანგარიშო წლის დაგროვებანი	196,2
6	მომავალი პერიოდის ხარჯები	5,8			
7	განყენებული საშუალებანი	9,4			
	ბალანსი..	921,4		ბალანსი..	921,4

1936 წლის დაგროვებისა და დანაკარგების ანგარიში

1.	სხვადასხვა დანაკარგები	4,0	1.	დაგროვებანი საქონლის და მზანაწარმის რეალიზაციით	198,9
			2.	სხვა დაგროვებანი	1,3
	დაგროვების სალდო.	196,2		დანაკარგების სალდო.	—
	ბალანსი..	200,2		ბალანსი..	200,2

დირექტორი: **ხეჩუმოვი.** მთ. ბუხჰალტერი: **ალექსანიანი.**

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1675 საქ. ადგილობრივი მრეწვ. სახ. კომისარიატის საბუხჰალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი **ჯანელიძე.**

საქ. სსრ შინავაჭრობის სახკომისარიატის პურვაჭრობა აცხადებს,
რომ ქალაქ თბილისის ყველა რაიონში პურის ქვემოჩამოთვლილი მაღაზიები გადავიდნენ სადღეღამისო ვაჭრობაზე:
მაღაზია № 3, ჩელუსკინელთა ქ. № 18
„ 44, პლეხანოვის პროსპ. № 114
„ 77, ელბაქიძის დაღმართი № 3
„ 91, კიროვის ქ. № 7
„ 135, შაუმიანის მოედანი № 4
მაღაზიებში მუდამ არის პურის ფართო ასორტიმენტი.
1212
დირექცია.

საქ. ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი
ამით აცხადებს ჯანგანყოფილებათა და ექიმთა საყურადღებოდ, რომ შემოდგომის სემესტრზე ა. წ. 15 სექტემბერს დაიწყება და 1 ოქტომბრამდე გაგრძელდება მეცადინეობა
1) პედიატრიულ, 2) სანიტარულ-ბაქტერიოლოგიურ, 3) ეპიდემიოლოგიურ, 4) თერაპიულ, 5) ქირურგიულ, 6) თვალის, 7) ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა, 8) ნევროპათოლოგიურ, 9) კანის და ვენერიულ სნეულებათა, 10) კლინიკურ-ლაბორატორიულ, 11) რენტგენოლოგიურ, 12) სამეანო-გინეკოლოგიურ, 13) სახ. სან. ინსპექტორთა და 14) ტროპიკულ სნეულებათა ციკლებზე.
ჯანგანყოფილებებს თავისუფალი ადგილების გამო შეუძლიათ დროულად მოავლინონ ექიმები.
1213
დირექცია.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილებისა—3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—3911